

საბჭოთა სამართალი

ს.ს.ს.რ.
იუსტსსახკომის
ორკვირეუდი
ორბანი

№ 3

15 თებერვალი

1929

შინაარსი

- მოწინავე — საბჭოების გადარჩევის კამპანია და სასამართლო ორგანოების ამოცანები.
- მ. ქორქაშვილი — შრომის საქმეებზე გადაწყვეტილების განსაზღვრების წესის შესახებ.
- კ. მიქელაძე — საკავშირო მიწის ძირითადი კანონის პრინციპების შესახებ.
- ივ. ძაძამიძე — მუშაოფლკორთა კორექსონდენტულ მოღვაწეობის წინააღმდეგ მართულ დანაშაულობათა შესახებ.
- ი. აფაქიძე — კიდევ კვალიფიციური კონტრბანდის შესახებ.
- ა. ალხოვი — დაწესებულების პასუხისმგებლობა იმ ქონების მთლიანობისა და ხელუხლებლობისათვის რაც, სათანადო წესით ჩაბარებულია დაწესებულებისათვის ან თანამდებობის პირისათვის.
- ა. კუსიკოვი — ძველ სამუშაო ადგილზე აღდგენის უპირატესი უფლების შესახებ.
- ს. ტერ გრიგორიანი — ლენინგრადის ოლქის იუსტიციის მუშაკთა I ყრილობის შედეგები.
- ი. კალანდაძე — სახალხო მსაჯულთა მომავალ გადარჩევის შესახებ.

პრაქტიკულის შენიშვნები

- გ. ორჯონიკიძე — სასამართ. აღმას. უწყებელთა აპარატის რაციონალიზაციის შესახებ.
- ი. კაციტაძე — როგორ უნდა მოიქცეს სასამართ. აღმას. იმ შემთხვევაში, როდესაც მოვალე და მესამე პირი აღწერილ ქონებას არ ღებულობენ შესანახად.
- გ. საღალაშვილი *
- შ. ლასხიშვილი — სანოტარო მოქმედების სასყიდლის ნიხრის შესახებ.



34 (05)


ს. 13.

ს ა ბ ჯ რ თ ა ს ა მ პ რ თ ა ლ ი

საქართველოს სოციალისტურ
საბჭოთა რესპუბლიკის
იუსტიციის სახალხო
კომისარიატის ორგანიზებული
ქ უ რ ნ ა ლ ი

679.

წელიწადი გვ. 1929



თებერვალი—1929 წ.

თ ვ ი ლ ი ს ი

პასუხისმგებელი რედაქტორი უ ა ლ ვ ა მ ა თ ი კ ა უ ზ ი ლ ი

სარედაქციო კოლეგია

{ ი. ტალახაძე
თ. დოლიძე
ბ. ბერაძე
პროფ. უ. ნუცუბიძე
კონს. შიქელაძე
მგდ. მნუშიძე

საბჭოების გადაარჩენის კამპანია და სასამართლო ორგანოების ამოცანები.

საბჭოების მიმდინარე გადარჩევის კამპანია—ჩვენი ქვეყნის განსაკუთრებულ საგარეო და საშინაო პირობებში სწარმოებს: ერთის მხრივ, უკანასკნელი წლის საერთაშორისო მდგომარეობის დამახასიათებელი ფაქტები, აშკარათ ლაპარაკობენ იმის შესახებ, რომ დასავლეთ ევროპის ბურჟუაზიული სახელმწიფოები ყოველდღიურათ რაზმად თავიანთ ძალებს მომავალ იმპერიალისტურ-ომისათვის ერთად-ერთ სოციალისტურ რესპუბლიკის წინააღმდეგ, ხოლო მეორეს მხრივ კი საბჭოთა კავშირის სოციალისტური მშენებლობის ზრდა ხედება მრავალ ეკონომიურ-პოლიტიკურ და კულტურულ ხასიათის სიძნელეებს.

სახალხო მეურნეობის სოციალისტურ სექტორის გაძლიერება—განვითარების ამ საფეხურზე, ბუნებრივად იწვევს პროლეტარიატის დიქტატურის კლასიურ მტრების ძალთა ორგანიზაციულ დარაზმვას. ამ მხრივ ყველაზე მეტად აღსანიშნავია ქალაქად ნეპმანურ და სოფლად კულაკურ ელემენტების გამოცოცხლება,—რომელნიც სრულიად გარკვეულად უპირისპირდებიან მუშებს, ღარიბ და საშუალო გლეხობას საბჭოების საარჩევნო კამპანიის ჩატარების მთელ პროცესში.

ბრძოლის ამ სიმწვავეით აიხსნება იმ ხერხების და მეთოდების გამოყენება, რომელთაც საბჭოთა ხელისუფლების მოწინააღმდეგე სოციალური ჯგუფები მიმართავენ. ნეპმანებისა და კულაკების ბრძოლის პირდაპირ საშუალებებს სცელის მათ მიერ ღარიბ გლეხობის მოსყიდვის, დაშინების, ფიზიკურ ძალდატანების და ღარიბთა კრებების დაშლის მეთოდები*).

განსაკუთრებით უნდა გაეცხვას ხაზი იმ გარემოებას, რომ სოფლის კულაკური ელემენტები ყოველგვარ ზომებს მიმართავენ საშუალო გლეხობის იმ ფენების დასაპყრობათ, რომლებიც ჯერ კიდევ მერყეობენ და ნათლად არა აქვთ გარკვეული შემდეგი ბრძოლის გზები.

საბჭოების არჩევნების დროს ანტი-საბჭოთა ფენების ყოველი გამოსვლა, რა ფორმებშიაც არ უნდა ხდებოდეს ის, არსებითად წარმოადგენს საარჩევნო კანონმდებლობისა და საერთოდ რევოლუციონურ კანონიერების დარღვევას. ამასთან დაკავშირებით იუსტიციის ორგანოების წინაშე შემდეგი განსაკუთრებული მნიშვნელობის ამოცანები სდგას:

1. სასტიკი და ყოველმხრივი თვალყურის დევნება—სრულიად საქართველოს ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტის მიერ გამოქვეყნებულ საარჩევნო ინსტრუქციის უნაკლოთ გატარებაზე.

*) იხ. გაზ. „კომუნისტი“—1929 წ. № 32.

2. ამ საფუძველზე მტკიცე კავშირის გაგრძელება საარჩევნო ხელმძღვანელ კომისიებთან. საბჭოების არჩევნების მსვლელობა ამტკიცებს იმას თუ ზოგ მაზრებში რაოდენათ სუსტია ეს კავშირი.

3. პროტესტის შეტანა საბჭოების საარჩევნო კომისიაში, მოქალაქეთათვის უკანონოთ საარჩევნო ხმის უფლების წართმევის გამო.

4. სისხლის-სამართლის წესით დევნის აღძვრა იმ პირთა წინააღმდეგ, რომლებმაც მოხერხებით და გაიძვერობით შესძლეს საბჭოთა არჩევნებში მონაწილეობის მიღება.

5. საჯარო-საჩვენებელი სასამართლო პროცესების მოწყობა ყველა იმ პირებზე, რომლებიც საბჭოების გადარჩევების პროცესში აშკარათ გამოიჩინეს—კლასიური მტრობა და შურისძიება არჩევნების ხელმძღვანელთა და კანონიერ მონაწილეთა წინააღმდეგ.

საბჭოების საარჩევნო კამპანია უკვე დაიწყო! მშრომელი მასების ფართე წრეები—თვითკრიტიკის ლოზუნგის ნიშნის ქვეშ—ახდენენ რესპუბლიკის ძირითად ორგანოების-საბჭოების საქმიანობის ყოველმხრივ შემოწმებას. იუსტიციის ორგანოები ვალდებული არიან უშუალო მონაწილეობა მიიღონ საარჩევნო კამპანიაში—პარტიისა და ხელისუფლების უკანასკნელ დირექტივების საღ და უნაკლო გატარების თვალსაზრისით.

8. მოკლავშილი.

შრომის საქმეებზე გადაწყვეტილების განსაჩივრების წესის შესახებ.

საკავშირო კანონმა „შრომის კონფლიქტების განხილვის წესის შესახებ“ (სსრკ 1928 წ. კან. კრ. № 56 მუხ. 495) დიდი ცვლილება შეიტანა შრომის საქმეზე გამოტანილ გადაწყვეტილების განსაჩივრების წესებში. ამ წერილში ჩვენ გვინდა შევებოთ ხსენებული კანონის მე 57 მუხლს, რომელიც სხვა მუხლებთა რიცხვში ეხება გადაწყვეტილების განსაჩივრების წესს. ამ მუხლის შინაარსი ასეთია: „საგუბერნიო, საოლქო და მათი შესაფერისი სასამართლოების გადაწყვეტილება (55 და 56 მუხ.) და აგრეთვე შრომის საქმეთა სესიის მიერ ხელმეორედ საკასაციო ინსტანციის განმარტების შესაფერისად გამოტანილი გადაწყვეტილება არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება იქნეს განსაჩივრებული, პროტესტქმნილი ან გადასინჯული“.

როგორც მოყვანილი შინაარსიდან სჩანს, მე-57 მუხლში გამოთქმულია ორი დებულება. პირველი დებულების თანახმად საკასაციო ინსტანციის გადაწყვეტილება შრომის საქმეზე, რა შინაარსისაც უნდა იყოს იგი, ვერ იქნება გადასინჯული ზედამხედველობის წესით. მაგალითად, შრომის ან სახალხო სასამართლოში გადაწყდა შრომის მაქმე. გადაწყვეტილება საკასაციო წესით იქნა განსაჩივრებული უზენაეს სასამართლოს სამოქალაქო საკასაციო კოლეგიაში. უკანასკნელს საკავშირო კანონის მე 55 მუხ. თანახმად უფლება აქვს ან დასტოვოს საჩივარი თუ პროტესტი უშედეგოდ და პირველ ინსტანციის გადაწყვეტი-

ლება დასტოვოს ძალაში, ან გააუქმოს განსაჩივრებული გადაწყვეტილება და საქმე ხელმეორედ განსახილველად პირველ ინსტანციას დაუბრუნოს, ან საქმეზე არსებითი ხასიათის გადაწყვეტილება გამოიტანოს, ან კიდევ სრულიად მოსპოს საქმე წარმოებით საკასაციო კოლეგიამ, რა გადაწყვეტილებაც უნდა გამოიტანოს, იგი ვერ იქნება გადასინჯული ზედამხედველობის წესით. არც შრომის სახალხო კომისარს (სასამართ. წყობ. დებ. 136 მუხ.) და არც პროკურატურას (სამოქ. საპრ. კოდ. 254 მუხ.) არ აქვს უფლება ვანაცხადოს პროტესტი ასეთ გადაწყვეტილებაზე და მოითხოვოს მისი გადასინჯვა ზედამხედველობის წესით.

ჩვენ აქ განზრახ ვუსვავთ ხაზს „ზედამხედველობის წესით“ გადაწყვეტილების გადასინჯვას, თუშეცა მე-57 მუხლის ტექსტი პირდაპირ ამისთვის საფუძველს არ იძლევა. მე-57 მუხლში კატეგორიულად არის გამოთქმული ის, რომ ამ მუხლით გათვალისწინებული გადაწყვეტილებები „არავითარ შემთხვევაში“ არ შეიძლება იქნეს გადასინჯული, მაგრამ ჩვენ მაინც არ მიგვაჩნია შესაძლებლად დაუშვათ, რომ ამ მუხლით აკრძალული იყოს გადაწყვეტილების გადასინჯვა ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო (სამოქ. საპრ. კოდ. 250—253 მუხ.). მე-57 მუხლის დედა აზრი მდგომარეობს არა იმაში, რომ რაიმე გზით საქმეს ბოლო მოეღოს, არამედ იმაში, რომ ორ ინსტანციაში საქმის განხილვა საქმით გარანტიას წარმოადგენს საქმის სწორედ გადაჭრისათვის და რომ შრომის საქმეზე „ვოლოკიტის“ მოსპობის მიზნით საკასაციო ინსტანციის გადაწყვეტილება აღარ უნდა იქნეს გადასინჯული. ასეთი შეხედულების სისწორეს ამტკიცებს ის გარემოება, რომ პირველი ინსტანციის კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების გადასინჯვა განსაკუთრებულ შემთხვევაში გათვალისწინებულია საკავშირო კანონის მე-63 მუხლით. სამოქ. საპრ. კოდ. 251 მუხ. გათვალისწინებული შემთხვევები კი ისეთი ხასიათისაა, რომ ასეთ შემთხვევაში საქმის მეორე ინსტანციის მიერ განხილვა არ შეიძლება წარმოადგენდეს იმის გარანტიას, რომ საქმე სისწორით არის გადაჭრილი, და ამის გამო დაუშვებელია, რომ საკასაციო ინსტანციის გადაწყვეტილების გადასინჯვა ასეთ შემთხვევებშიაც იყოს აკრძალული.

მეორე დებულება მდგომარეობს იმაში, რომ არ შეიძლება არც საკასაციო და არც ზედამხედველობის წესით იქნეს განსაჩივრებული, პროტესტქმნილი ან გადასინჯული ისეთი გადაწყვეტილება შრომის საქმეზე, რომელსაც პირველი ინსტანცია გამოიტანს საკასაციო ინსტანციის გადაწყვეტილების შესაფერისად საქმის ხელმეორედ განხილვის შემდეგ. მაგალითად, გაირჩა საქმე შრომის სასამართლოში. გადაწყვეტილება განსაჩივრებულ იქნა უზენაეს სასამართლოს სამოქალაქო საკასაციო კოლეგიაში, და ამ უკანასკნელმა განსაჩივრებული გადაწყვეტილება გააუქმა და საქმე ხელმეორედ განსახილველად დაუბრუნდა პირველ ინსტანციას. პირველმა ინსტანციამ საქმე ხელმეორედ განიხილა და ახალი გადაწყვეტილება გამოიტანა. აი ასეთი გადაწყვეტილება ვერ იქნება განსაჩივრებული ვერც საკასაციო და ვერც ზედამხედველობის წესით, თუ იგი გამოტანილია უზენაესი სასამართლოს საკასაციო კოლეგიის იმ განმარტების შესაფერისად, რომელსაც სამოქ. საპრ. კოდ. 248 მუხ. თანახმად უნდა შეიცავდეს საკასაციო კოლეგიის დადგენილება პირველი ინსტანციის პირველი გადაწყვეტილების გაუქმების შესახებ.

რადგან პირველი დებულებით გათვალისწინებული წესის შეფარდება ხდება ფორმალური ნიშნების მიხედვით, მას არ შეუძლია გამოიწვიოს რაიმე სერიოზული გაუგებრობა. თუ საქმე შრომით კონფლიქტს შეეხება და გადაწყვეტილება გამოტანილია საკასაციო ინსტანციის მიერ, გადაწყვეტილება ვერ იქნება გადასინჯული ზედამხედველობის წესით დამოუკიდებლად მისი შინაარსისა.

მეორე დებულების შეფარდება კი ასე ადვილი არ არის. მისი სწორედ შეფარდებისთვის ორი საკითხის გაშუქებაა საჭირო: 1) როდის ჩაითვლება გადაწყვეტილება საკასაციო ინსტანციის განმარტების შესაფერისად გამოტანილ გადაწყვეტილებად და 2) ვინ უნდა გადასჭრას ეს საკითხი.

საკავშირო კანონის მე-56 მუხ. თანახმად იმ შემთხვევაში: ა) თუ საქმის ფაქტიური მხარე საკმაოდ ნათელია; ბ) თუ შესაცვლელია მხოლოდ გადაწყვეტილების დასაბუთება და გ) თუ საქმე ხელმეორედ არსებითად განხილვის დროს სასამართლომ არ იხელმძღვანელა იმ განმარტებით, რაც მას ჰქონდა მიცემული წინადაც გამოტანილ გადაწყვეტილების გაუქმების დროს, საკასაციო ინსტანცია შრომის საქმეზე გამოიტანს არსებითი ხასიათის გადაწყვეტილებას საქმის ხელახლად განხილვისათვის გადაუტყველად. ამის მიხედვით შრომის საქმე ხელმეორედ განსახილველად დაუბრუნდება პირველ ინსტანციას მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა საქმის ფაქტიური მხარე საკმაოდ ნათელი არ არის, როცა საჭიროა დამატებითი მასალის შეკრება და როცა მასალის ნაკლოვანება შეუძლებელს ხდის კონფლიქტის ასე თუ ისე გადაჭრას. ამის გამო საკასაციო ინსტანციის განმარტებაში საქმის დაბრუნების დროს არ შეიძლება იქნეს რაიმე კატეგორიული ხასიათის მითითება იმაზე, თუ როგორ უნდა გადაწყდეს საქმე. საკასაციო ინსტანციას ასეთ შემთხვევაში შეუძლია პირველ ინსტანციას განუმარტოს მხოლოდ ის, თუ საქმის რა გარემოება გამორკვეული უნდა იქნეს, და აგრეთვე პრინციპიალური ხასიათის საკითხები. საკითხი, დადასტურდა თუ არა ესა თუ ის საქმის არსებითი გარემოება, საქმის მეორედ განხილვის დროსაც პირველმა ინსტანციამ უნდა გადასწყვიტოს. რამდენადაც საქმის ასე თუ ისე გადაწყვეტა დამოკიდებულია საქმის არსებითი გარემოების გამორკვევაზე, საკითხი, შეეფერება თუ არა ხელმეორედ გამოტანილი გადაწყვეტილება საკასაციო ინსტანციის განმარტებას, შეიძლება გადაწყდეს არა გადაწყვეტილების რეზოლუტიური ნაწილის მიხედვით, არამედ იმ მოსაზრებათა მიხედვით, რომელიც გადაწყვეტილებას დაედვა საფუძვლად.

აქ უნდა მიექცეს ყურადღება ერთ ფრიად მნიშვნელოვან გარემოებას. საქმე იმაშია, რომ საკასაციო ინსტანციას ყოველთვის არ შეუძლია გათვალისწინოს ყველა ის საკითხი, რაც შეიძლება წამოიჭრას საქმის ხელმეორედ განხილვის დროს. სამოქ. საპრ. კოდ. მე-3 მუხ. თანახმად მოსარჩლე არ არის მოკლებული უფლებას საქმის ხელმეორედ განხილვის დროს შესცვალოს სარჩელის საფუძველი. ამის გამო ახლად წამოიჭრილ საკითხების გადაწყვეტა სასამართლოს უხდება თავის შეხედულებით. ამ რიგად შესაძლებელია, რომ პირველმა ინსტანციამ მიიღოს მხედველობაში საკასაციო ინსტანციის ყველა განმარტება, მაგრამ საქმე გადაწყდეს ისეთი გარემოების მიხედვით, რაც სრულებით არ ყოფილა გათვალისწინებული საკასაციო ინსტანციის მიერ. მოვიყვანთ მაგალითს: მოსარ-



ჩლე მოითხოვს ზედმეტი ნამუშევრის სახელაურს. შრომის სასამართლომ უარი უთხრა სარჩელში იმ მოსაზრებით, რომ ზედმეტი მუშაობა არ იყო ნებადართული სათანადო წესით. საკასაციო ინსტანციამ არ გაიზიარა პირველი ინსტანციის მოსაზრება და გადაწყვეტილება გააუქმა. რადგან საქმეში არ იყო გამოჩენილი ზედმეტი მუშაობის ფაქტი და რაოდენობა, საქმე დაუბრუნდა პირველ ინსტანციას ხელმეორედ განსახლველად იმ განმარტებით, რომ სარჩელი დაკმაყოფილებულ უნდა იქნეს, თუ მოსარჩლემ დაამტკიცა ზედმეტი მუშაობის ფაქტი. საქმის ხელმეორედ განხილვის დროს მოსარჩლემ მოწმეები დაასახელა. მოპასუხე მოწმეების დაკითხვის წინააღმდეგი გახდა და განუცხადა სასამართლოს, რომ ზედმეტი ნამუშევრის დამტკიცება შეიძლება მხოლოდ შრ. კან. კოდ. 108 მუხ. მოხსენებული საბუთებით. სასამართლომ მოპასუხის მოსაზრება გაიზიარა და სარჩელში მოსარჩლეს უარი უთხრა, რადგან მოსარჩლემ ასეთი საბუთები ვერ წარადგინა. ამ შემთხვევაში სასამართლოს გადაწყვეტილება არ ეწინააღმდეგება საკასაციო ინსტანციის განმარტებას, მაგრამ არ ითქმის, რომ ეს გადაწყვეტილება იყოს საკასაციო ინსტანციის განმარტების რეალიზაცია, რადგან საკასაციო ინსტანციის განმარტებაში არ ყოფილა გათვალისწინებული საკითხი, თუ რამდენად შესაძლებელია მოწმეების საშუალებით ზედმეტად ნამუშევრის გამოჩვენვა. ეს გადაწყვეტილება ვერ იქნება აღიარებული ისეთ გადაწყვეტილებად, რომლის გადასინჯვა ან განსაჩივრება შეუძლებელია.

როგორც ზემოდ უკვე აღვნიშნეთ მე-57 მუხ. აზრი იმაში მდგომარეობს, რომ ორ ინსტანციაში საქმის განხილვა იმის საკმაოდ გარანტიაა, რომ საქმე სწორედ იქნეს გადაჭრილი. ამ თვალსაზრისით პირველი ინსტანციის მიერ ხელმეორედ გამოტანილი გადაწყვეტილება მხოლოდ იმ შემთხვევაში გაუთანასწორდება მეორე ინსტანციის გადაწყვეტილებას, თუ ეს გადაწყვეტილება საკასაციო ინსტანციის განმარტების რეალიზაციას წარმოადგენს, ე. ი. თუ ეს გადაწყვეტილება არსებითად იმავე საკასაციო ინსტანციის გადაწყვეტილებაა. აქედან გამომდინარეობს შემდეგი: 1) საკასაციო ინსტანციის განმარტების შესაფერისად გამოტანილ გადაწყვეტილებათ ჩაითვლება პირველი ინსტანციის მხოლოდ ისეთი მეორე გადაწყვეტილება, რომელიც მთლად საკასაციო ინსტანციის განმარტების ფარგლებშია გამოტანილი; 2) საკასაციო ინსტანციის განმარტების შესაფერისად შეიძლება არ იქნეს პირველი ინსტანციის მიერ ხელმეორედ გამოტანილი გადაწყვეტილება არა მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა პირველი ინსტანცია არ შეასრულებს საკასაციო ინსტანციის დირექტივებს, არამედ ისეთ შემთხვევაშიც, როცა საქმის ხელმეორედ განხილვის დროს საქმის გარემოებები შეიცვლება და წამოიჭრება ისეთი საკითხი, რომლის შესახებ საკასაციო ინსტანციის აზრი საქმეში არ მოიპოვება.

საკითხი, არის თუ არა საკასაციო ინსტანციის გადაწყვეტილების შესაფერისად გამოტანილი პირველი ინსტანციის მეორე გადაწყვეტილება, აღიძვრის როგორც გადაწყვეტილების განსაჩივრების დროს, ისე გადაწყვეტილების აღსრულების გამო საკასაციო ვადის გასვლამდე. მაგალითად, შრომის სასამართლოს მეორე გადაწყვეტილებით დაკმაყოფილებულ იქნა სარჩელი. მოსარჩლე საკასაციო ვადის გასვლამდე მოითხოვს აღმასრულებელ ფურცელს იმ მოსაზრებით,

რომ გადაწყვეტილების განსაჩივრება და გადასინჯვა კანონით აკრძალულია. ასეთ შემთხვევაში აღმასრულებელი ფურცელი მიეცემა მხოლოდ მაშინ, თუ გადაწყვეტილება საკასაციო ინსტანციის შესაფერისად არის გამოტანილი.

ვინ უნდა გადასწყვიტოს ეს საკითხი? ჩვენი აზრით, ეს საკითხი თავდაპირველად უნდა გადასჭრას იმ ორგანომ, რომელსაც კანონით ევალება საკასაციო საჩივრის საკასაციო ინსტანციაში წარდგენა და აღმასრულებელი ფურცლის გაცემა. სამოქ. საპრ. კოდ. 64, 235 და 239 მუხლების თანახმად საკასაციო საჩივარს აძლევს მსვლელობას გადაწყვეტილების გამომტანი სასამართლო. სამოქ. საპრ. კოდ. 188 მუხ. თანახმად აღმასრულებელი ფურცლის გაცემაც გადაწყვეტილების გამომტან სასამართლოს ეკისრება. ამრიგად, ზემოაღნიშნული საკითხი გადაწყვეტილების გამომტანმა სასამართლომ უნდა გადაჭრას. უკანასკნელის დადგენილება, რასაკვირველია, არ იქნება საბოლოო. რამდენათაც საკასაციო საჩივრის მიუღებლობა და აღმასრულებელი ფურცლის უსწორო გაცემა ან აღმასრულებელი ფურცლის გაცემაში უარის თქმა შეიძლება განსაჩივრებულ იქნეს სამოქ. საპრ. კოდ. 249 მუხ. თანახმად კერძო საჩივრის საშუალებით, აღნიშნულ საკითხს საბოლოოდ საკასაციო ინსტანცია გადაწყვეტს.

საკასაციო ინსტანციას შეუძლია შეეხოს ამ საკითხს არა მარტო კერძო საჩივრის საფუძვლით, არამედ იმ შემთხვევაშიაც, როცა გადაწყვეტილების გამომტანი სასამართლო საკასაციო საჩივარს მისცემს მსვლელობას. საკასაციო ინსტანციას შეუძლია დასტოვოს განუხილველად საკასაციო საჩივარი, თუ სცნობს, რომ განსაჩივრებული გადაწყვეტილება გამოტანილია მისი განმარტების შესაფერისად.

ის აზრი, რომ ამ საკითხის გადაწყვეტის უფლება არ შეიძლება ჰქონდეს გადაწყვეტილების გამომტან სასამართლოს და რომ მისი გადაწყვეტა შეუძლია მხოლოდ საკასაციო ინსტანციას, ჩვენ მიუღებლად მიგვაჩნია. ამ აზრს რომ დაადგეს პრაქტიკა, ყველა საკასაციო საჩივარს ხელმეორედ გადაწყვეტილ საქმეზე უნდა მიეცეს მსვლელობა, თუ სხვა რაიმე კანონიერი დაბრკოლება არ აღმოჩნდა. მაშასადამე ყველა ასეთ საქმეებზე უნდა შესრულდეს ის მოქმედება, რაც საკასაციო საჩივრის წარდგენის დროს შესრულებულ უნდა იქნეს, თუმცა ჯერ კიდევ საკასაციო საჩივრის მიღების საკითხი არ გადაწყვეტილა. მაგალითად, მოპირდაპირე მხარეს უნდა გაეგზავნოს საკასაციო საჩივრის ასლები, რადგან ამ მოქმედების შესრულება პირველ ინსტანციას ევალება (სამოქ. საპრ. კოდ. 239 მუხ.). ამასთანავე საკასაციო ინსტანციას მოუხდება ყველა განსაჩივრებული საქმის გადახედვა, რაც ვერ ჩაითვლება საქმის წარმოების გამარტივებათ. რაც შეეხება გადაწყვეტილების აღსრულების საკითხს, უნდა ითქვას, რომ აღსრულება დაგვიანდება, თუ ეს პრინციპი იქნა მიღებული. საკასაციო ვადის გასვლამდე სასამართლო მოკლებული იქნება საშუალებას გასცეს აღმასრულებელი ფურცელი. რაღა მნიშვნელობა ექნება მე-57 მუხლში აღნიშნულ წესებს, თუ ხელმეორედ გამოტანილი გადაწყვეტილების აღსრულება შეუძლებელი გახდება საკასაციო ვადის გასვლამდე.

კიდევ უფრო მიუღებლად მიგვაჩნია ის აზრი, რომელიც გამოთქმულია Б. Ц—ев-ის წერილში სათაურით „შრომის კონფლიქტების შესახებ საკავშირო





კანონი“. (E. C. Ю. № 40 41 -1928 წ. გვ. 1064-1066). ბ. უ--ე-ი ამბობს: „გადაწყვეტილებების შემწეობა შეიძლება მიეძღოს ან საეკლესიო სასამართლოს ან პროკურატურას; პირველ შემთხვევაში შესაძლებელი იქნება კერძო საჩივრის შეტანა საკასაციო საჩივრის თანდართვით შრომის სესიის უარზე საკასაციო საჩივრის მიღებაში; პროკურატურის მხრივ შემოწმება შეიძლება განხორციელდეს პროკურორის ჩვეულებრივი ზედამხედველობისა და პროტესტის განცხადების წესით. შემოწმების უკანასკნელი ფორმა ჩვენ მიგვიჩნია უფრო სწორედ“. როგორც მოყვანილი ციტატებიდან სჩანს, სასამართლოს გადაწყვეტილების შემოწმების საკითხში საკასაციო ინსტანცია დაპირდაპირებულია პროკურატურას, მაგრამ გაუგებარია, თუ როგორ შეუძლია პროკურატურას გასწიოს საკასაციო ინსტანციის მაგიერობა. მაგალითად, მოსარჩლემ, რომლის სასარგებლოდაც გადაწვდა საქმე, მოითხოვდა აღმასრულებელი ფურცელი საკასაციო ვადის გასვლამდე. ვინ უნდა გადაჭრას საკითხი აღმასრულებელი ფურცლის გაცემის შესახებ? ეჭვი არ არის, რომ ეს საკითხი უნდა გადაწყვიტოს მხოლოდ სასამართლომ. პროკურორს არ შეუძლია სასამართლოს დადგენილება გააუქმოს. მას შეუძლია შეიტანოს პროტესტი სასამართლოს დადგენილებაზე და ეს პროტესტი საკასაციო ინსტანციამ უნდა განიხილოს. ავიღოთ მკორე მაგალითი: პირველი ინსტანციის მეორე გადაწყვეტილებაზე შემოვიდა საჩივარი. სასამართლოს წინაშე დაისმება საკითხი, მისცეს თუ არა საჩივარს მსვლელობა— ვინ გადაწყვეტს ამ საკითხს? ყოველ შემთხვევაში ამ საკითხის გადაწყვეტის უფლება პროკურატურას არ აქვს. ეს საკითხი სასამართლომ უნდა გადაწყვიტოს. რა დახმარება შეუძლია პროკურატურას უკმაყოფილო მხარეს აღმოუჩინოს? მას შეუძლია შეიტანოს პროტესტი სასამართლოს მოქმედებაზე და ეს პროტესტი ისევ საკასაციო ინსტანციამ უნდა განიხილოს. ამ რიგად საკასაციო ინსტანციის და პროკურატურის დაპირდაპირება გადაწყვეტილების შემოწმების საკითხში კანონის თვალსაზრისით გაუგებრობას წარმოადგენს.

კ. მიძელება.

საკავშირო მიწის ძირითადი კანონის პრინციპების შემსახება.

საკავშირო მიწის ძირითადი კანონის— მიწათმოწყობისა და მიწათსარგებლობის ძირითად საფუძვლების წინაწინააღმდეგობა და დანიშნულება არ მოითხოვს ვრცელ განმარტებას. ამ პირობაში, როცა ჩვენ საქმე გვაქვს ისეთ ეკონსტიტუციურ მდგომარეობასთან, რომლის მიხედვით მოკავშირე რესპუბლიკებს უფლება აქვთ საკუთარი მიწის კოდექსი გამოცენ, ეს დი უნდა იყოს, რომ საკავშირო მთავრობის მიწის ძირითადი კანონის გამოცემას მიზანი ისაა, რომ კავშირის მთელ ტერიტორიაზე, განიტყვიცვლეს იქნეს ქრისტიანი სადგომამდლო პოლიტიკა. თუ ეს ასეა, ისიც გასაგებია, რომ ეს ძირითადი კანონი უნდა შეიცავდეს მიწათმოწყობისა და მიწათსარგებლობის ძირითად პრინციპებს, რომლებიც საფუ-





ძვლად უნდა დაედგას მოკავშირე რესპუბლიკების საადგილმამულო კანონმდებლობას.

უდავოა ის დებულება, რომ საადგილმამულო ურთიერთობათა განვითარება და მოწესრიგება შეიძლება იყოს ერთიანი კავშირის მთელ ტერიტორიაზე, თუ ყველა მოკავშირე რესპუბლიკაში ვანპტიციებულ იქნა ის პრინციპი, ურომლისოდ საბჭოთა კავშირის და საბჭოთა რესპუბლიკის არსებობა შეუძლებელია. ასეთ პრინციპს წარმოადგენს მიწის ნაციონალიზაცია, მიწის გასახელმწიფოება, მიწის სახელმწიფო საკუთრებათ ცნობა. მაგრამ, როცა მიწის ნაციონალიზაციას ვიხილავთ საბჭოთა სოციალური სისტემის თვალსაზრისით, არ შეგვიძლია მას არ დაუკავშიროთ ის დებულება, რომ მიწაზე კერძო საკუთრება სამუდამოდ არის გაუქმებული. ეს ორი, ერთმანეთთან დაკავშირებული დებულება დამახასიათებელია საბჭოთა სოციალური სისტემისა. ეს ორი დებულება განსაზღვრავს მიწაზე სახელმწიფო საკუთრების შინაარსს. რახან მიწაზე კერძო საკუთრება სამუდამოდ არის გაუქმებული და იგი, მიწა, სახელმწიფო საკუთრებად არის ცნობილი ცხადია, რომ საკუთრების დამახასიათებელი ძირითადი ელემენტი—განკარგულება არ შეიძლება იყოს იმავე შინაარსის, რაც აქვს კერძო საკუთრებას. მიწას, როგორც საგანს სახელმწიფო საკუთრებისას სახელმწიფო ვერ განკარგავს ისე, როგორც კერძო მესაკუთრე, იგი ვერ გაასხვისებს, ვერ დააგირავებს და საზოგადოდ ვერ გამოიყენებს ისე, როგორც ეს კერძო მეპატრონეს ინტერესებს შეეფერება. თუ სახელმწიფო საკუთრებას მოვაცილებთ განკარგულებას აღნიშნული შინაარსით, ჩვენ უნდა ვაღაროთ, რომ მისი მთავარი შემადგენელი ელემენტის—განკარგულების შინაარსი ამოიწურება მისი გამოყენებით თანახმად იმ დანიშნულებისა, რაც სახელმწიფოს სოციალური მიზანი განსაზღვრავს.

მიწაზე სახელმწიფოს საკუთრების შინაარსი მოცემულია ძირითად კანონის 2 და 3 მუხლებში. მასთან უნდა აღინიშნოს, რომ ამ კანონის პირველ მუხლში მიწა გამოცხადებულია მარტოდენ საბჭოთა კავშირის სახელმწიფო საკუთრებად. ეს ნიშნავს არა იმას, რომ საბჭოთა კავშირი იყოს მაწის მესაკუთრე კერძო საკუთრების საფუძვლით, არამედ იმას, რომ იგი არის მისი უზენაესი განმკარგულებელი, ე. ი. ისეთი ორგანო, რომლის კომპენტეციას შეადგენს არა მარტო დირექტივის მიცემა მოკავშირე რესპუბლიკებისათვის მიწის ამა თუ იმ დანიშნულებისათვის გამოსაყენებლად, არამედ მაწის ნაკვეთების გამოყოფის უფლებას მოკავშირე რესპუბლიკების საადგილმამულო ფონდიდან და ასეთების გამოყენებისა განსაზღვრულ ამოცანების განსახორციელებლად. ამ დებულების დამადასტურებელ გარემოებათ აღიარებულ უნდა იქნეს როგორც საკავშირო მიწის კანონის გამოცემა, ისე ამ კანონში ისეთ დადგენილებათა მოთავსება, რომლებიც ნათელჰყოფენ მიწაზე სახელმწიფო საკუთრების შინაარსს.

ჯერ შევეხებით უკანასკნელი დებულების აზრს. ამ მიზნით ჩვენ გამოვადგება ხსენებული კანონის მეორე და მესამე მუხლები. მეორე მუხლის ძალით საბჭოთა კავშირის გამკებლობის საგანს შეადგენს: ა) მის განკარგულებაში იმ მიწების მოქცევა, რომლებიც, საგანგებო საკავშირო კანონების წესით, ეძლევათ საბჭოთა კავშირის დაწესებულებებს, საერთო საკავშირო მნიშვნელობის წარმოებებსა და ორგანიზაციებს, ბ) მიწების გადარიცხვა გადასახლების საქმისათვის

დანიშნულ საერთო საკავშირო ფონდში და ამ ფონდის გამგებლობა და გ) მიწის ვაცემა საკონცესიით. მოყვანილ დებულებაში ამოწურულია საბჭოთა კავშირის განკარგულება განსაზღვრული დანიშნულების მიწით და მასთან განსაზღვრულია ის მიწები, რომლებზედაც ეს განკარგულება ვრცელდება. ამასთან ერთად მოცემულია მიწის განკარგულების შინაარსიც.

დასახელებულ მუხლში მოცემულია განსაზღვრა მიწის განკარგულებისა. ამ გარემოებას გამოხატავს ის დებულება, რომ იმ მიწის საკონცესიით ვაცემა, რომლებიც მოკავშირე რესპუბლიკების გამგებლობა—განკარგულებაშია, საბჭოთა კავშირის კომპეტენციას შეადგენს. რაც შეეხება იმ მიწების რაოდენობას, რაც საბჭოთა კავშირის უშუალო განკარგულებაში უნდა იყოს, ეს ძირითად კანონში არ არის განსაზღვრული და არც შეიძლება იყოს, რადგან მისი რაოდენობა განიზომება, ერთის მხრივ იმ ორგანოების საჭიროებით, რომლებსაც ასეთი უნდა გადაეცეს სპეციალური დანიშნულებისათვის მოსახმარებლად, მეორეს მხრივ, იმ შესაძლებლობით, რასაც ამა თუ იმ მოკავშირე რესპუბლიკის საადგილმამულო მარაგი იძლევა. ასე რომ ერთს შემთხვევაში, როცა საადგილმამულო მარაგიდან უნდა გამოიყოს მიწა საბჭოთა კავშირის დაწესებულებებს და საერთო საკავშირო მნიშვნელობის წარმოებებს და ორგანიზაციებს, მათზე მიწის ნაკვეთების ვაცემა უნდა მოხდეს მათი საჭიროების მიხედვით, მეორე შემთხვევაში კი, როცა მიწა საჭიროა საკოლონიზაციო ფონდის შესაქმნელად, მიწის გამოყოფას ასეთი დანიშნულებისათვის შეიძლება ადგილი ჰქონდეს მაშინ, თუ მოკავშირე რესპუბლიკის ფარგალში იმდენი მიწაა, რომ შეიძლებოდეს დაკმაყოფილება არა მარტო თვით რესპუბლიკის მოთხოვნილებებისა, არამედ სხვა რესპუბლიკებიდან გადმოსასახლებელ მოქალაქეებზე გადასაცემად შრომითი სარგებლობისათვის. ასე რომ საკოლონიზაციო ფონდის შექმნა დამოკიდებულია აღნიშნულ გარემოებაზე, რომელიც განსაზღვრავს კავშირის გამგებლობის ფაქტიურ და იურიდიულ შესაძლებლობას. მაგრამ იმ შემთხვევაში, თუ მიწა საკოლონიზაციო ფონდისათვის იქნა გამოყოფილი, საკავშირო მთავრობა გაუწევს კონტროლს მოკავშირე რესპუბლიკის იმ მოქმედებას, რომელიც შეეხება აღნიშნულ მიწების ვაცემას დანიშნულებისამებრ.

კომპეტენცია კავშირის მთავრობისა მიწის განკარგულების სფეროში განსაზღვრავს მოკავშირე რესპუბლიკების უშუალო განკარგულების საგანს. ამის მიხედვით მოცემულია განკარგულების განაწილება კავშირის მთავრობისა და მოკავშირე რესპუბლიკების მთავრობების შორის. ამიტომ შეიძლება ითქვას, რომ ის, რაც კავშირს ეკუთვნის მიწის განკარგულების სფეროში, მოკავშირე რესპუბლიკებს არ ეკუთვნის, და, პირუტყვმა, ის, რაც ეკუთვნის მოკავშირე რესპუბლიკებს, კავშირს არ ეკუთვნის. ამ დებულების დამადასტურებელ ნორმას ჩვენ ვპოულობთ ძირითადი კანონის მესამე მუხლის „ა“ პუნქტში, რომლის ძალითაც მოკავშირე რესპუბლიკებს უფლება აქვს საერთო განკარგულება ყველა მიწისა გარდა იმ მიწებისა, რომლებიც აღნიშნულია იმავე კანონის მეორე მუხლში.

მეორე მუხლში ნათქვამია, რომ იმ მიწებს, რომლებიც ეძლევათ საბჭოთა კავშირის დაწესებულებებს, საერთო საკავშირო მნიშვნელობის საწარმოებს და ორგანიზაციებს განსაკუთრებული საერთო საკავშირო კანონების წესით, კავში-

რი საკუთარ განკარგულებაში მოაქცევს, ხოლო გადასახლების საქმისათვის და
 ნიშნულ მიწებს საკავშირო ფონდში გადარიცხავს და მას, ამ ფონდს, საკუთარი
 გამგებლობის საგნათ გაქდის, აქედან გამომდინარეობს, რომ ყველა მიწა გარდა
 აღნიშნულ მიწებრსა მოკავშირე რესპუბლიკების განგებლობა-განკარგულების სა-
 განს შუადგენს. ამ უღლების შინაარს ჩვენ ადვილად გავიგებთ, თუ ერთმანეთს
 დაუკავშირებთ ძირითადი კანონის მეორე და მესამე მუხლების შინაარსს.

მესამე მუხლით მოკავშირე რესპუბლიკებს ეკუთვნის ყველა მიწის საერთო
 განკარგულება გარდა იმ მიწებისა, რაც ჩეორე მუხლშია მოყვანილი.¹⁾ მეორე
 და მესამე მუხლების შინაარსიდან ის დასკვნა უნდა გამოვიყვანოთ, რომ მოკავ-
 შირე რესპუბლიკებმა უნდა განახორციელონ უშუალოდ განკარგულება იმ მიწე-
 ბისა, რაც არ შედის იმ მიწების შემადგენლობაში, რომლების განკარგულებას
 საბჭოთა კავშირი განახორციელებს უშუალოდ. გარდა ამისა აღსანიშნავია ის
 გარემოება, რომ ის მიწები, რომლებიც საბჭოთა კავშირის განკარგულებაშია,
 უნდა იყოს მოკავშირე რესპუბლიკების გამგებლობაში რახან მოკავშირე რესპუ-
 ბლიკების ორგანოები განახორციელებენ მათ მოწყობას, და ამასთან დაკავშირე-
 ბით ზედანხედველობას მათ გამოყენებაზე დანიშნულებისაზე. ეს დებულება
 ცხადი იქნება, თუ მივიღებთ მხედველობაში შეჩვევს გარემოებას.

ის მიწები, რომლებიც გადაეცემა ს. ს. რ. კავშირის დაწესებულებებსა,
 საერთო საკავშირო მნიშვნელობის საწარმოებს და ორგანიზაციებს, სპეციალურ
 დანიშნულების მიწებთ ჩაითვლებიან. აღნიშნულ დაწესებულებებისა და სა-
 წარმოთა და ორგანიზაციების განკარგულებაში ეს მიწები რჩება მანამდე, სანამ
 არსებობს მათი საჭიროება, ასე რომ საჭიროების განვლის შემდეგ ეს მიწები
 უნდა დაუბრუნდეს ერთიან სახელმწიფო საადგილმამულო ფონდს, საიდანაც ისი-
 ნი იყო გამოყოფილი. ამის დამადატურებელ მარტივ მაგალითს შემდეგი შემ-
 შემთხვევა წარმოადგენს.

მიწის ნაკვეთები გადაეცემა რკინის გზათა სამმართველოს მაშინ, როცა
 ამას მოითხოვს ამ სამმართველოს ის საჭიროება, რომელსაც იწვევს უშუალოდ
 მისი დანიშნულება. უმეტეს შემთხვევაში ერთიან სახელმწიფო საადგილმამულო
 ფონდიდან რკინის გზისათვის განოყოფა მიწის ნაკვეთისა ხდება ლიანდაგის გა-
 საყვანად. ლიანდაგის ქვეშ მიწა დარჩება რკინის გზის ტრანსპორტის განკარ-
 გულებაში, სანამ იგი ამ დანიშნულებას და საჭიროებას ემსახურება. ასე რომ,
 თუ რკინის გზამ ხაზი მოშალა და მის ნაკველად სხვა ხაზი გაიყვანა, უსათუოდ
 დაისმება საკითხი განთავისუფლებული მიწის მდგომარეობის შესახებ. ეს მიწა
 ექვს გარეშეა, ვერ დარჩება საკავშირო დაწესებულებას—რკინის გზის ტრანს-
 პორტის განკარგულებაში, რადგან იგი არ ემსახურება იმ დანიშნულებას, რომ-
 ლისთვისაც მოხდა მისი გადაცემა. ამიტომ უნდა გატარდეს მისი გადარიცხვა

1) ჩვენ ამ მიმოხილვისათვის ვსარგებლობთ მიწათმოწყობისა და მიწათსარგებლობის ძი-
 რითად საფუძვლების დედანი—რუსულ ტექსტით, ვინაიდან მისი თარგმანი, მოთავსებული
 გაზეთ „კომუნისტი“-ს 9 იანვრის ნომერში, ზოგ ნაწილში არ შეედერება რუსულ ტექსტის ტერ-
 მინოლოგიას. მაგალითისათვის აქ მოვიყვანთ შემდეგს: მესამე მუხლის „ა“ პუნქტში რუსულ
 ტექსტში აღნიშნულია „общее распоряжение землей“, ქართულ ტექსტში კი „გაუწიონ საერთო
 განგებლობა მიწებს“.

ერთიან სახელმწიფო საადგილობრივ ფონდში. ასეთი გადარიცხვა კი უნდა აწარმოოს მოკავშირე რესპუბლიკის იმ ორგანომ, რომელმაც იგი ფონდიდან გამოჰყო და სპეციალური დანიშნულების მიწების რიგში გადარიცხა. ასეთი მდგომარეობა იმაზე მაუთითებს, რომ მოკავშირე რესპუბლიკას ეკუთვნის ზედამხედველობა ამ მიწების გამოყენებაზე. მასთან მოკავშირე რესპუბლიკამ ეს ზედამხედველობა იმ მამართლებით უნდა წარმართოს, რომ უზრუნველყოფა იქნეს სპეციალური დანიშნულების მიწების გამოყენება მის დანიშნულებასამებრ. ასეთ ზედამხედველობას მოითხოვს მიწების დანიშნულებასამებრ გამოყენებას საჭიროება მიუხედავად იმისა, ვის განკარგულებაშიც უნდა იყოს ეს მიწები. ეს ზედამხედველობა გათხატავს მოკავშირე რესპუბლიკის მხრივ იმის გამგებლობას, რამდენად კანონზომიერია მიწის გამოყენება იმ დაწესებულებებისა და საწარმოთა და ორგანიზაციების მიერ, რომლებმაც იგი გამოიყენო სპეციალური დანიშნულებისათვის.

იმ გარემოების დასადასტურებლად, რომ საკავშირო მთავრობის განკარგულებაში გადარიცხული მიწები გამოდიან კავშირის გავლენას სფეროდან იმ დროიდან, როცა მათ ეკარგებათ ის დანიშნულება, რისთვისაც ასეთი გადარიცხვა მოხდა, უნდა მოვიყვანოთ მოსაზრებანი საკოლონიზაციო გამოყოფილ მიწების მდგომარეობის შესახებ, მას შემდეგ, როცა ეს უქანასკნელი უკვე გამოყენებულია დანიშნულებისამებრ.

მიწის ძირითადი კანონის მეორე მუხლის ძალით მოკავშირე რესპუბლიკა გამოყოფს ერთიან სახელმწიფო საადგილობრივ ფონდიდან საკოლონიზაციო საქმისათვის საჭირო მიწას. ამ მიწის დანიშნულება ისაა, რომ იგი გადმოსახლებულთ დაუთმოდეს. დღიდან გადმოსახლებულთა ახალ ადგილზე დაფუძნებისა ეს მიწა უკვე ჰქარგავს თავის პარვანდულ დანიშნულებას, რაკ იგი დანიშნულებასამებრ არის გამოყენებული. ამ მომენტიდან დასახლებულ მაწის გაშვებლობა და განკარგულება ეკუთვნის იმ მოკავშირე რესპუბლიკას, რომლას ფარგლებში იგი იმყოფება. აქედანაც აშკარაა, რომ საკავშირო მთავრობის განკარგულებისათვის გამოყოფილი მიწის განკარგულება არ ატარებს მუდმივხასიათს იგი მისი უშუალო განკარგულების სფეროდან გამოდის მაშინ, როცა კავშირი წყდება იმ დანიშნულებისა, რომლისთვისაც იგი იქნა გამოყოფილი, და ამ დანიშნულებისათვის მისი გამოყენების მოთხოვნილების შორის. თუ ეს ასეა, ჩვენ შეგვიძლია გავიგოთ აზრი იმ სიტყვებისა, რომლებიც ნახმარია ძირითადი კანონის მესამე მუხლში და ეხება მოკავშირე რესპუბლიკების უფლებამოსილობას მიწის გამოყენების სფეროში. ეს მით უფრო საჭიროა, რომ ახალი კოდექსის დამუშავების დროს არ მოხდეს ცნებათა არევა-დარევა და რომ მასში სწორად იქნეს გამოხატული დამოკიდებულება საბჭოთა კავშირის და მოკავშირე რესპუბლიკის შორის მიწის ნაკვეთების განკარგულების დარგში.

ძირითადი კანონის მესამე მუხლში ნათქვამია, რომ მოკავშირე რესპუბლიკებს ეკუთვნის უფლება მიწების საერთო განკარგულებასა იმის გამონაკლისით, რაც მეორე მუხლშია აღნიშნული. მეორე მუხლში კი, როგორც ვიცით აღნიშნულია საბჭოთა კავშირის დაწესებულებებზე და საერთო საკავშირო მნიშვნელობის საწარმოებებსა და ორგანიზაციებზე გადაცემული მიწები და საკოლონიზა-

ციო საქმისათვის გამოყოფილი მიწები. ეს მიწები საბჭოთა კავშირის განკარგულების მიწებია. აქედან მეორე მუხლის მიხედვით ჩვენ შეგვიძლია ის დასკვნა გამოვიტანოთ, რომ დანარჩენი მიწები მოკავშირე რესპუბლიკების განკარგულებაშია. მაგრამ გაუფებრობის თავიდან ასაცილებლად უნდა განსაზღვროთ ამ სიტყვის—„საერთო“-ს აზრი, რაც სიტყვას—„განკარგულება“ ემატება.

სიტყვა „საერთო განკარგულება“ არ შეიძლება იქნეს გაგებული ისე, თითქოს ის გულისხმობდეს ვისიმე, სხვა ორგანოს უშუალო განკარგულებას. ამ სიტყვის ასე გასაგებად კანონში უნდა იყოს სათანადო კვალი. თუ მესამე მუხლს სხვა რედაქციას მივსცემთ, სახელდობრ ისეთს, რომ მოკავშირე რესპუბლიკებს საერთოდ ეკუთვნის ყველა მიწის განკარგულება იმ გამოწვევით, რაც მეორე მუხლშია აღნიშნული, იმ დასკვნამდე მივალთ, რომ სიტყვა „საერთო განკარგულება“ ისეთივე შინაარსისაა, როგორც საბჭოთა კავშირის განკარგულება იმ მიწისა, რაც მეორე მუხლშია აღნიშნული, ხოლო განსხვავება მათ შორის გამოიხატება იმ ფორმებში, რომლებიც მოცემულია ძირითად კანონში და რომლებიც შეიძლება წერილში იქნება განხილული.

(გაგრძელება იქნება.)

ივანე ძაქაშიძე

მუშსოფლორთა კორესპონდენტულ მოღვაწეობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულობათა შესახებ.

I.

საბჭოთა კავშირის სახელმწიფო მექანიზმის ყოველდღიურ საქმიანობასთან მუშათა და სოფლის კორესპონდენტების მოღვაწეობა, იმდენათ უშუალოდაა დაკავშირებული, რომ ძნელად თუ წარმოიდგენს რომელიმე ჩვენთაგანი ხელისუფლების სხვა და სხვა ორგანოების ნაყოფიერ მუშაობას მათ გარეშე. ასეთი მდგომარეობა, მიუხედავად იმისა რომ მუშსოფლოკორების ინსტიტუტის არსებობა, სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის კონსტიტუციით გათვალისწინებულ და დადგინებულ ფაქტს სრულებითაც არ წარმოადგენს, აიხსნება საბჭოთა ხელისუფლების თავისებურ სოციალური ბუნებით, რომელიც წინააღმდეგ ბურჟუაზიულ სახელმწიფოთა, აგებულია მშრომელ მასების ფართე წრეების მონაწილეობის პრინციპზე მართვა-გამგეობაში და აშის და მიხედვით მუშსოფლოკორთა ორგანიზაცია, რომელშიაც დღეს გაერთიანებულია რამოდენიმე ათასი წევრი—უწინარეს ყოვლისა სხვა არაფერია თუ არა ერთ ერთი უძლიერესი ფორმათაგანი, რომლის მეშვეობითაც ხდება მშრომელი მასების მობილიზაცია სახელმწიფოებრივ მშენებლობის ყველა დარგებში ჩასაბმელათ.

სწორეთ ამ გვარი შინაარსის შემცველია მუშსოფლოკორთა მოღვაწეობაც ხელისუფლების იმ ორგანოების წინაშე, რომელნიც მოწოდებულნი არიან სისხ. სამ. კოდექ. წესით დასასჯელ ქმედობათა მიმართ ბრძოლისათვის და მუშსოფლოკორთა აუარებელი სახის დევნაც, მათი მამხილებელი წერილების გამოქვეყნე-



ბითაა უმთავრესად გამოწვეული. რას ეხებიან ეს მამხილებელი წერილები? რ. ს. ფ. ს. რ. იუსტ. სახ. კომისარიატის ცენტრალური პროკურატურის ხელმძღვანელი ანხ. ნ. ლაგოვიერი შემდეგნაირად უპასუხებს ამ კითხვას:

„მექრთამეობა, ხელისუფლების გადატეხვა, ბანდიტიზმისათვის და „სამოგონშინისათვის“ დახმარების გაწევა, არა კანონიერი გადასახადები, უყაირათობა, სამსახურიდან უკანონო დათხოვნა მუშა-მოსამსახურისა და გლეხისადმი უხეში მოპყრობა, საბინაო პრაქტიკაში ცალკე დამახინჯებანი კლასიური პოლიტიკისა და სხვა ყოველგვარი დანაშაულობანი და დარღვევანი რევოლიუციონურ კანონებებისა, რომელთაც აუარებელი ზიანი მოაქვთ მშრომელთა ინტერესებისათვის წარმოადგენენ მუშაკობებისა და სოფლკორების მამხილებელი წერილების საგანს“. (E. C. Юстиции за 1925 г. № 10 გვ. 235).

ყველასათვის ცხადი უნდა იყოს რომ ასეთი ხასიათის წერილები, რომელნიც ყოველდღიურად იბეჭდებიან საბჭოთა კავშირის მრავალრიცხოვან გაზეთებში, აუარებელ მასალას იძლევიან სისხლის სამართლის წესით, ბოროტ მომქმედთა წინააღმდეგ დევნის აღსაძრავათ. ასე მაგ., ჩვენში, მაოლოდ ოაზ გაზეთში ერთი წლის განმავლობაში დაბეჭდილ წერილებას მიხედვით, ტფილისის მახრაქალაქის პროკურატურის მიერ მისი ტერიტორიალური კომპენტენციის ფარგლებში აღძრულ საქმეების რაოდენობა შემდეგს უჩვენებს:

1927 წ. I/X-დან 1928 წ. I/X-დე.

გაზეთების სახელ- წოდებანი	წერილების რაოდენობა რომელთ. მიმეტ ყურადღ.	ს. ს. კ. აღძრ. საქმეები წარ. დამთ. საქმეები, მათ შორის				წარმოებში	მოკ. არ დ დას- ტურდა
		გამოძიებ- ლებთან	სასამართ- ლებში	დამთავრებ. სასამართლ.	წარმოებში		
1. „კომუნისტი“	65	15	8	4	25	14	
2. „მუშა“	53	8	3	1	24	17	
3. „ახალი სოფლი“	14	—	2	1	10	1	
4. „რაბოჩია პრავდა“	13	1	1	1	6	4	

ამასთან ერთად არ შეიძლება არ აღანიშნოს რომ, მოკვლევისა და წინასწარი გამოძიების მოხდენა გაზეთებში გამოქვეყნებულ წერილების შინაარსის მიხედვით, ჯერ-ჯერობით საჭირო სიმაღლეზე ვერ არის დაყენებული. ერთი მთავარი ნაკლი იმაშია, როგორც მოყენილ ცხრილიდანაც ჩანს, რომ წერილების შინაარსის შესამოწმებლად წარმოებელი მოკვლევა ანუ გამოძიება ხანგრძლივია.

საქმე იმაშია, რომ გაზეთის ფურცლებზე მოთავსებულ შენიშვნის წაკითხვის საშუალება არა მარტო მომკვლევ ან საგამომძიებლო ორგანოს აქვს, არა-

მედ იმასაც ვის წინაღმდეგაც შენიშვნაა მიმართული, და თუ მოკვლევა სწრაფად არ იქმნა ჩატარებული, ბუნებრივია ის შეეცდება დანაშაულობას კვალის დაფარვას.

პრესაში გამოქვეყნებულ წერილების მოკვლევის საქმის სპეკიფიურ ხასიათს, გულისხმობდა საქ იუსტ. სახ. კოჩისარიაცია, როდესაც 1926 წ. გამოსცა სპეციალური ცირკულარი მუშკორებისა და სოფლკორების წერილების გამო მოკვლევის მოხდენის შესახებ. ამ ცირკულარის მე-6 მუხლი ლაპარაკობს:

„სოფლკორების ანუ მუშკორებს წერილების მიხედვით მოკვლევა უნდა სწარმოებდეს დიდი ინტენსივობით და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 105 მუხ. დაწესებულ ერთი თვის ვადას არ გადაამეტოს. მოკვლევის დამთავრების შემდეგ კი მთელი მასალა უნდა გაიგზავნოს ან სასამართლოში დამსწვევთა პასუხის-გებაში მისაცემად, ან პროკურატურაში საქმას მოსასპობად“.

ცირკულარში გარდა ამისა ჩამოთვლილია მთელი რიგი წესების რომელთა გამოყენებით უზრუნველყოფილ უნდა იქნეს საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე პრესაში გამოქვეყნებულ წერილების მოკვლევის მიზანშეწონილი ორგანიზაცია.

II.

სტატისტიკური ციფრები გვარწმუნებენ რომ მეშათა და სოფლის კორესპონდენტების მოძრაობას გაძლიერებასთან ერთად, განსაკუთრებით კი მათი აქტიური მოღვაწეობის გამო, რევოლუციონური კანონიერების დაცვის ფრონტზე პარალელურად იზრდება დანაშაულობათა რიკხვი რომელნიც მიზნათ ისახევენ ერთ შემთხვევაში მუშკორის ან სოფლკორის ფიზიკურ მოსპობა-განადგურებას, ხოლო მეორე შემთხვევაში კი ხელი ააღებანონ მას კორესპონდენტულ მოღვაწეობაზე. ამხ. ნ. ლაგოვიერის ცნობით რუსეთის 27 გუბერნიაში, საპროკურორო ზედამხედველობას 1924 წელს მუშ-გლეხკორთა დევნის 99 საქმე აღუნიშნავს, 1925 წელს 111 და 1927 წელს კი 411. (Вестник С. Юстиции за 1927 г. № 20—გვ. 586).

დარწმუნებით შეიძლება ითქვას რომ არ არსებობს საბჭოთა კავშირის არც ერთი კუთხე, სოფელი თუ ქალაქი სადაც არ სწარმოებდეს საბჭოთა ხელისუფლების კლასიური მტრებსა, და ხშიარ შემთხვევებში სა ელმწიფო თანამდებობის გადაგვარებულ პირთა მიერაც მუშ-გლეხკორთა დევნა ამა თუ იმ ფორმის სახით. სახელმწიფო დამსჯელ ორგანოებისათვის ადვილია ბრძოლა მუშ-სოფლკორთა დევნის აშკარა საათის წინააღმდეგ (მკვლევლობა ანუ მკვლელობის ცდა, მკეპარა და სხვა) მაგრამ უბედურობა იმაშია რომ ჩვენ ვერ ვახერხებთ აუარებელ შემთხვევებში ხსენებული დევნის აღმოჩენას. განსაკუთრებით მაშინ, როდესაც მუშ-სოფლკორს ხსნიან საპაახურიდან მასი მამხილებელი მოღვაწეობის გამო, მტატების შემცირების საბაბით. გადაყავთ ის ნაკლებთ კვალიფიციურ ადგილზე, ქმნიან მის გარშემო ხელოვნურად ისეთ პირობებს რომ იძულებულია თვითონ დაანებოს თავა საწარმოოში ანუ დაწესებულებაში მეშობას. (იხ. Ленкин и Шнайдер—„Советский закон о рабселькорах“ გვ. 45).

ეს რაც შეეხება დანაშაულობათა სახეებს და კვალიფიკაციას რომელიც საგანგებოთაა გათვალისწინებული სათანადო ცირკულარით. გარდა ამისა საქ. იუტ. სახ. კომისარიატის ცირკულარში განსაზღვრულია სპეციალურა წესი, რომლის მიხედვით უნდა ხდებოდეს მუშ-სოფლკორთა წინააღმდეგ ჩადენილ დანაშაულობრივ ქმედობათა გამოძიება. მე მოვიყვან რამოდენიმე პუნქტს ამ ცირკულარიდან:

1. პროკურატურის ორგანოებმა უნდა გაუწიონ სისტემატიური ზედამხედველობა იმას რომ მუშა და სოფლის კორესპონდენტთა წმიმართ ჩადენილი დანაშაული ყოველთვის სწრაფად იქნეს გამოკვლეული და განხილული და არავითარ შემთხვევაში არ დაუშვან ასეთი საქმეების შეგვიანება და გაჭიანურება.

2. თვალყური ადევნონ რ.თა აღნიშნული საქმეების მოკვლევა და გამოძიება შეძლებისდაგვარათ ყოველ ცალკე შემთხვევაში ევალებოდეს მოკვლევისა და გამოძიების უფრო კვალიფიკაციურ მუშაკებს, საპროკურატურო ზედამხედველობის უახლოესი ხელმძღვანელობით.

3. უკეთუ მუშა და სოფლის კორესპონდენტების მიმართ ჩადენილი დანაშაული მეტად მძაბეა და დიდი საზოგადოებრივი მნიშვნელობა აქვს საპროკურატურო ზედამხედველობის ორგანო პირადათ უნდა გაემგზავროს ადგილზე და უშუალო ხელმძღვანელობა გაუწიოს გამოძიებას.

ჩვენ ვხედავთ რომ, როგორც მუშ-სოფლკორთა წერილების მოკვლევა ისევე მათ წინააღმდეგ ჩადენილ დანაშაულთა გამოძიება ხელისუფლებას, სპეციალურ საკანონმდებლო ნორმებით აქვს მოწესრიგებული, რაც უთუოდ ლაპარაკობს იმის შესახებ, რომ სახელმწიფოს მიერ მუშ-სოფლკორთა მოღვაწეობას განსაკუთრებული ყურადღება აქვს მიქცეული. ის ამოცანები, რომელაც დასმულია ამ უაზად საპროკურატურო ზედამხედველობისა და საგამომძიებლო სასამართლო აპარატის წინაშე—მუშაოფლკორთა მიმართ, შესაძლებელია ამხანავ **ნ. ლავოვიერის** სიტყვებით განვსაზღვროთ:

„საჭიროა გაეძლიეროთ პროკურატურისა და სასამართლო-საგამომძიებლო ორგანოების კავშირი მუშაოფლკორებთან (განსაკუთრებით კი სოფლკორებთან, ვინაიდან აქ კავშირი ჯერ-ჯერობით სუსტია), საჭიროა ფართე პოპულიარიზაცია იმ კანონებისა და დირექტივების, რომელნიც გვაქვს მუშაოფლკორთა დაცვის ხაზით. მუშაოფლკორთა მდევნელების წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში უნდა მივაპყროთ მთელი საბჭოთა საზოგადოებრივობის ყურადღება. თუ კი საქმეთა რომელიმე კატეგორიისათვის მიზანშეწონილია საჩვენებელი მნიშვნელობის მიცემა მაშინ ორმაგათ მაზანშეწონილია ეს მუშაოფლკორთა დევნის საქმეებზე და არა მარტო პროცესებისათვის მკვლელობათა, მკვლელობის ცდის,—არაჰედ სხვა ყოველგვარ დევნის სახეების გამოც“.

(Вестник С. Юстиции за 1927 г. № 20 გვ. 585. იხ. ამავე საკითხზე აზხ. თ. დოლიძის წერილი. პრესა და პროკურატურა. „საბჭოთა სამართალი“ 1929 წ. № 2).

თუ კი დანაშაულობრივი ქმედობის ცნება ჩვენი სისხლის სამართლის კოდექსის თვალსაზრისით მოქმედების სოციალურ საშიშროებაში მდგომარეობს, ხაზ-გასმით უნდა აღინიშნოს, რომ დანაშაულობანი მიმართული მუშგლეხკორთა

კორესპონდენტულ მოღვაწეობის წინააღმდეგ ერთი-ორათ უფრო საშაშია საზოგადოებრივად, ვინაიდან ასეთი ხასიათის დანაშაულობანი ჩაღენილნი არიან სოციალისტური რევოლიუციის უდიდესი მონაპოვარის მიმართ, და მამასადამე სახელმწიფო დამსჯელმა ორგანოებმა გაორკეცებული ენერგიით უნდა აწარმოონ ბრძოლა ამ კატეგორიის ბოროტმოქმედთა წინააღმდეგ.

ი. ავაშიძე.

კიდევ კვალიფიციური კონტრაბანდის შესახებ.

(სიხს. სამ. კოდ. 58²⁴ მუხ. დანართი).

მიუხედავად იმ ღონისძიებათა, რომელსაც ხელისუფლება დებულობს კონტრაბანდის წინააღმდეგ, არ შეიძლება ითქვას, რომ ეს დანაშაული აღმოფხვრილია ჩვენ რესპუბლიკაში; საქართველოს ზოგიერთ ადვილას, განაკუთრებით კი სანაპირო რაიონებში, დღესაც აქვს ადგილი საქონლის კონტრაბანდულად გატან-შემოტანას მისი მრავალგვარი სახით, და დაახლოვებითაც ძველია იის თქმა, თუ როდის დავძლევთ ჩვენ საბოლოოდ ამ მოკლენას, რომელიც ძარს უთხრის ჩვენი სამეურნეო ძღაერების საფუძველს.

კონტრაბანდის საშაშროება რესპუბლიკის კეთილმდგომარეობისათვის ჩვენ გვაეალება მტკიცეთ და სწორად გამოვყენოთ ყველა ის საშუალებანი, რაც, კონტრაბანდასთან ბრძოლის მიზნით, დაწესებულია კანონათ.

ამ საშუალებათა შორის განსაკუთრებული ადგალი უჭირავს სასამართლო ორგანოების გვეშაინ მუშაობას კონტრაბანდის დევნის საქმეში და სასამართლოს სისტემატიურ რუპრესიას დამნაშავე პირთა წინააღმდეგ.

მაგრამ იმისათვის, რომ სასამართლოს მუშაობას ამ დარგში მოჰქვეს დაღეზითი შედეგები, საჭიროა, რომ სასამართლოს მუშაებას მიერ სწორად იქნას შეთვისებული საკანონმდებლო ნორმები, რომელიც კონტრაბანდის საკითხს შეეხება; მაოლოდ ასეთ პარობებში აცდება სასამართლოს აპარატის მუშაობა იმ გადახრებს, რომელსაც ადგილი აქვს სანამდვილეში და რომლის გამო ხშირად უბრალო კონტრაბანდად მიჩნეულია ისეთი მოქმედება, რომელსაც აქვს კვალიფიციური კონტრაბანდის ნიშნები, და პირიქით, კვალიფიციური კონტრაბანდა მოქცეულია უბრალო კონტრაბანდის ფარგლებში.

სამწუხაროდ უნდა ითქვას, რომ 58²⁴ მუხლის შანაარსას სწორად შეთვასებას მარავ ჯერ ბევრი რამ გვაკლია, ამ მუხლის სხვა და სხვა პუნქტები იწვევენ მრავალ გაუგებრობას სასამართლოს პრაქტიკაში, რაც უკლს უშლის კონტრაბანდულ მოქმედების დევნაში ერთიან პრაქტიკის შექმნას; მდგომარეობა მით უფრო რთულდება, რომ ჩვენ არ მოგვეპოვება ლატერატურა ქართულ ენაზე და ადგილობრივი სასამართლოს უმაღლესი ორგანოების სისტემატიური განმარტებები ამ საგანზე.

ერთი გაუგებრობა, რომელიც მხოლოდ რედაქციული შეცდომის შედეგია, ჩვენ აღვნიშნეთ პარველ წერილში, ეხლა გვსურს მიუთითოთ ხსენებულ კანონის

იმ პუნქტებს, რომელიც თავის შინაარსით ბაღებს გაუგებრობას სასამართლოს პრაქტიკაში.

ჩვენ სახეში გვაქვს 58/24 მუხლის დანართის „ა“ და „ზ“ პუნქტები, რომელთაგან პირველი ითვალისწინებს საქონლის კონტრაბანდულად გატან შემოტანას საბაჟოს გარეშე სპეციალურად საამისოდ დანიშნული სატრანსპორტო საშუალებით, ხოლო მეორე — ორჯერზე მეტი კონტრაბანდას და აგრეთვე წინასწარი შეცნობით კონტრაბანდული საქონლის შენახვას, ან ეაქრობას ხელოვნის სახით.

რა არის კონტრაბანდის შემოტანისათვის სპეციალურად დანიშნული სატრანსპორტო საშუალება, როგორია ამ ცნების შინაარსი? სასამართლოს პრაქტიკაში იყო შემთხვევა, როდესაც სატრანსპორტო საშუალების სპეციალური დანიშნულება კონტრაბანდის შემოტანისათვის ისე იყო გაგებული, თითქოს აქ საჭიროა ისეთი საშუალების შექმნა, რაც ვერ ემსახურება სხვა დანიშნულებას, თითქოს ჩვეულებრივი ნავი, რომლითაც იქნა შემოტანილი კონტრაბანდა საქონელი, ვერ ჩაითვლება სპეციალურად კონტრაბანდისათვის დანიშნულ საშუალებათ, ვინაიდან ნავი საერთო ხასიათის სატრანსპორტო საშუალებაა, რომლითაც მუდამ წარმოებს მიმოსვლა, მოძრაობა და სხვა. ერთი სიტყვით, ამ ცნების შინაარსის გამოსარკვევად ეძებდნენ გარეგნულ ობიექტიურ ნიშნებს, რომელიც თითქოს განასხვავებს კონტრაბანდის შემოსატანათ სპეციალურად დანიშნული სატრანსპორტო საშუალებას სხვა ჩვეულებრივი სატრანსპორტო საშუალებისაგან, ან და მოითხოვდნენ განსაკუთრებულ მოწყობილობას და სხვა.

ასეთი მსჯელობა ცნების აშკარა გადამხახვებაა.

საკითხი იმის შესახებ, არის ამა თუ იმ შემთხვევაში კონტრაბანდის გატან-შემოსატანათ სპეციალურად დანიშნული სატრანსპორტო საშუალება, თუ არა, არ გადაიჭრება არავითარი ფორმალური ნიშნებით, ეს ფაქტიური საკითხია, რომელიც გადაჭრილ უნდა იქნას პირველ საფეხურს სასამართლოს მიერ საქმის ყველა გარემოებათა მიხედვით. თუ საქმეში დადასტურებულ იქნა, რომ კონტრაბანდა შემოტანილია ისეთი სატრანსპორტო საშუალებით, რომლითაც შესაძლოა დიდძალი საქონლის ადვილიდან დაძრა, როგორცაა, მაგალითად, დროგი, ნავი, ცხენი და სხ. და რომ ეს — საშუალება დანიშნული იყო კონტრაბანდული საქონლის შემოსატანათ, ქმედობას კვალიფიკაცია უნდა ექნეს 58/24 მ. დანართის „ა“ პუნქტის მიხედვით დამოუკიდებლად იმისა, აქვს ამ სატრანსპორტო საშუალებას სპეციალური მოწყობილობა, თუ არა. — ამასთან, თუ დამტკიცდება, რომ ამა თუ იმ შემთხვევაში სატრანსპორტო საშუალება სპეციალურად იქნა გამოყენებული კონტრაბანდის გატან შემოსატანად, დანაშაული შეიცავს 58/24 მუხლის დანართის ნიშნებს, ხოლო თუ გამოაშკარავდება, რომ სატრანსპორტო საშუალება არ იყო გამოყენებული მარტოდენ ამ მიზნით მაგ. თუ კონტრაბანდის გატან-შემოტანას მცირე რაოდენობით აქვს მხოლოდ შემთხვევითი ხასიათი (თავის საქმეებზე მოგზაურობის დროს მოქალაქე გადაიტანა საქონელი სრულიად უმნიშვნელო რაოდენობით), სახეზეა დანაშაული, გავალისწინებული 83 მუხლში (უბრალო კონტრაბანდა).

ასეა ეს საკითხი განმარტებული რუსეთის უზენაესი სასამართლო პლენუმის 1927 წლის დადგენილებაში (იხ. Рабочий Суд, 1927 г., № 18, стр 1407) და არ მოიპოვება არავითარი საფუძველი იმისათვის, რომ ჩვენ არ მივიღოთ კანონის ასეთი განმარტება სახელმძღვანელოდ ჩვენს პრაქტიკაში.

ამ რიგად კონტრაბანდისათვის სპეციალურად დანიშნული სატრანსპორტო საშუალება არის ჩვეულებრივი საშუალება, რაც ამ კონკრეტულ შემთხვევაში გამოყენებულ იქნა კონტრაბანდის შემოტან-გასატანათ, აქ არ არის საჭირო, რომ სატრანსპორტო საშუალება იყოს სპეციალურად გამოგონილი, ან მას ჰქონდეს რაიმე სპეციალური მოწყობილობა; ეს იქიდანაც გამომდინარეობს, რომ სატრანსპორტო საშუალების სპეციალური მოწყობილობას 58²⁴ მუხ. დანართი ითვალისწინებს ცალკე პუნქტში (ბ).

არა ნაკლებ გაუგებრობას იწვევს სასამართლოს პრაქტიკაში 58²⁴ მუხლის დანართის „ზ“ პუნქტი, რომელიც ითვალისწინებს ორჯერზე მეტი კონტრაბანდის ჩადენას და აგრეთვე წინასწარი შეცნობით კონტრაბანდული საქონლის შენახვას და ვაჭრობას ხელობის სახით.

ეს ცალ-ცალკე დებულებაა, აქ ქმედობის კვალიფიკაციის საფუძვლად ორი სხვა და სხვა მოქმეტი ალბუმი, ერთ შემთხვევაში ორჯერზე მეტი კონტრაბანდა, ხოლო მეორეში—კონტრაბანდული საქონლის შენახვა და მოსახლეობაში გასრცელება გაყიდვის საშუალებით, ჩადენილი ხელობის სახით.

მიუხედავად ამასა სასამართლო ერთჯერ ჩადენილ კონტრაბანდასაც ხშირად უუარდებს ამ პუნქტს მოქმედებას იმ მოსაზრებით, რომ საქონელი შემოტანილია გასაღების მიზნით. ეს სწორი არ არის, გასაღების მიზანი იმ პირობებისათვის, ვინც მხილებულ იქნა საქონლის უშუალოდ გატან შემოტანაში, არ ქმნის დანაშაულის კვალიფიკაციის საფუძველს, გასაღების მიზანი კონტრაბანდის უპირავლეს შემთხვევაში თავისთავად იკულისხმება, და ასეთი ხაზის აღება იმ დეკლუკამდე მაგვრყვანს, რომ ჩვენს ფაქტურად იქულებული გავადებით უარყოთ უბრალო კონტრაბანდა, და კონტრაბანდის შემოტანის ყველა შემთხვევაში ყოვლით კვალიფიკაცია მოქმედება მხოლოდ იმიტომ, რომ საქონელი შემოტანილია ვაჭრობის მიზნით; ეს ეწინააღმდეგება 58²⁴ მ. დანართის და 83 მუხ. შინაარსს.

მაშასადამე „ზ“ პუნქტში აღნიშნულ პირველ შემთხვევაში (ორჯერზე მეტი კონტრაბანდა) გასაღების ან სხვა რამე მიზანი ქმედობის კვალიფიკაციისათვის უნდა შენელო მომენტია, აქ მნიშვნელობა აქვს მხოლოდ ობიექტური ფაქტს—კონტრაბანდის ორჯერზე მეტად შემოტანისას დამოუკიდებლად დანაშაულის მიერ დასახულ მიზნისა.

შემდეგ. რა არის ორჯერზე მეტი კონტრაბანდა, საჭიროა ამისათვის დადასტურებულ იქნას კონტრაბანდული ქმედობის რამოდენიმე შემთხვევაები, დამტკიცებული სასამართლოს განაჩენით, თუ საკმარისია გამოარკვეოს სასამართლომ საქმის საერთო სურათის მიხედვით, რომ ბრალდებულს ჩაუდენია ასეთი დანაშაული, მაგალითად საზღერ; ჩვენ ვფაქრობთ, რომ ამისათვის არ არის საჭირო, რომ არსებობდეს სასამართლოს განაჩენი, სრულად საკმარისია დადასტურებულ იქნას საქმის ობიექტური გარემოებათა მიხედვით, თუ გინდ საბა-

ქოს დადგენილების გარეშედაც, ბრალდებულის მიერ ასეთის დანაშაულის ჩადენა ორჯერზე მეტად. შესაძლებელია ამ გარემოების დადასტურება საბაჟოს საკონფისკაციო საქმეებით, რომელიც ბრალდებულზე იყო შეყენებული, მაგრამ სასამართლოც არ არის მოკლებული უფლებას დაადსტუროს ხსენებული გარემოება თავის საკუთარი საშუალებით.

58/2⁴ მუხლის დანართის „ზ“ პუნქტის მე-2 ნაწილზე ვილაპარაკებთ შემდეგ წერილში.

ა. ალხოვი.

დაწესებულების პასუხისმგებლობა იმ ქონების მთლიანობისა და ხელუხლებლობისათვის, რაც სათანადო წესით ჩაბარებულია დაწესებულებისათვის ან თანამდებობის პირისათვის.*)

უფრო კარგი და გასაგები რედაქცია აქვს უკრაინის სამოქ. კოდექსის 407/1 მუხლს. ქონების მთლიანობისა და ხელუხლებლობისათვის დაწესებულების პასუხისმგებლობის შესახებ.

„ქონებრივი პასუხისმგებლობის შეზღუდვა, რაც დაწესებულია 407 მუხლით, არ ვრცელდება იმ შემთხვევებზე, როცა ხელიდან გამოცლილია (მოსპობილი, გატაცებული, გაფლანგული, დაკარგული, მითვისებული, არა სათანადო პირზე გაცემული და სხვ.) ან როცა დაზიანებულია ქონება, მიღებული სახელმწიფო დაწესებულების მიერ რწმუნებაშეიძლება თანამდებობის პირისა ან მოსამსახურის სახით იმ მოქალაქეებისაგან, რომლებიც მოვალენი იყვნენ ან რომელთაც უფლება ჰქონდათ გადაეცათ ეს ქონება ამ დაწესებულებისათვის კანონის მოთხოვნისა, სასამართლოს გადაწყვეტილების, ადმინისტრაციული ორგანოს კანონიერი განკარგულების ძალით ან ადმინისტრაციის იმ განკარგულების თანახმად, რომელიც დაკარგულია ამ დაწესებულებაში მომგმელდ შინაწესრიგის წესებზე.“

ადნინშულ შემთხვევებში, უკეთეს დაკარგულია ფული ან სხვა ღირებულება, რაც გვარობითი ნიშნებით განისაზღვრება, სახელმწიფო დაწესებულება მოვალეა გადაუხადოს მის შენიჭიანს ან იმ პირს, რომლისთვისაც (გი იყო შეტანილი, ინდენიფიკაცია ან დაუბრუნოს ისეთივე ღირებულება იმ შემთხვევაში, თუ დაკარგულია ან დაზიანებული სხვა ქონება, სახელმწიფო დაწესებულება მოვალეა აუნაზღაუროს დაზარალებულს ქონებას ნაშენილი ზიანი. სახელმწიფო დაწესებულება განთავისუფლებულ იქნება პასუხისმგებლობისაგან, უკეთეს დაშტაკიციებულ იქნა, რომ ზიანი წარმოსდგა თვით ქონების თვ სებისაგან, რაც მიმიღებულია სახელმწიფო დაწესებულების მიერ, ან ეს ზიანი გამოწვეულია დაუძლეველი ძალით“.

მაგრამ უკრაინის კოდექსის 401¹ მუხლიც შეიცავს ერთს ნორმას, რომელიც არ არის საცესებით სწორი, სახელდობრ ნორმას დაწესებულების პასუხის-

*) იხ. „საბჭოთა სამართალი“ № 2—1929 წ.



მგებლობისაგან ყოველი მიზეზის გარეშე განთავისუფლების შესახებ, როცა ზედმეტად ნი გამოწვეულია დაუძლეველი ძალით.

სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების მიმართ დაუძლეველ ძალაზე მითითებას ყოველთვის სახეში უნდა ჰქონდეს სტიქიური, ობიექტიური დაუძლეველი ძალა. დაუძლეველი ძალის ცნება არ არის ისეთი რამ, რაც ზუსტად არის განსაზღვრული; კანონშიაც არ მოიპოვება არც ამ ცნების სწორი განსაზღვრა, არც იმ გარემოებათა ჩამოთვლა, რომლებშიაც იგი გამოიყვანება.

დაუძლეველი ძალა, ე. ი. იმის შეუძლებლობა, რომ შემთხვევა იქნეს თავიდან აცილებული, შეიძლება იყოს სუბიექტური და ობიექტიური. სამართლის მეცნიერებაში დაუძლეველ ძალათ იგულისხმება ბუნების ძალების გამოიყვანება და მესამე პირთა (რომლებიც არ ეკუთვნიან მოსამსახურეთა შემადგენლობას) ისეთი მოქმედებანი, რომლების არც თავიდან აცილება ჯერ არც დაძლევა როგორც თავისთავად, ისე თავისი შედეგებით არ შეიძლებოდა, მიუხედავად იმისა, რომ მიღებული იყო ყოველგვარი შესაძლებელი და აუცილებელი გაფრთხილება.

ისინი, ვინც იმ შეხედულებას იზიარებს, რომ დაუძლეველი ძალა არის ამ საწარმოსათვის შემთხვევის თავიდან აცილების შეუძლებლობა (სუბიექტიური) პასუხისმგებლობისაგან განთავისუფლებას იმათ ასაბუთებენ, რომ პასუხისმგებლობის განთავისუფლებისათვის არ შეიძლება იმის მოთხოვნა, რომ ბუნების მოქმედება ან მესამე პირთა მოქმედებანი ყოველი მიზეზის გარეშე არ იყოს თავიდან ასაცილებელი, მაგრამ საკმარისია, თუ ამა თუ იმ შემთხვევის თავიდან აცილება შეუძლებელი იყო იმ საშუალებათა არსებობის დროს, რომლებიც საწარმოს შესაკუთრეს უნდა ჰქონოდა საკუთარი საქმის გონივრული წარმოების პირობებში. იმიტომ რკინის გზაზე მაგალითად, მონხდარი შემთხვევა მთის ჩამონგრევისა, რაც არ შეიძლება ყოფილიყო გათვალისწინებული, უნდა იყოს ცნობილი დაუძლეველ ძალათ, რადგან შეუძლებელია იმის მოთხოვნა, რომ რკინის გზის გაყვანისას ათხრილ იქნეს ყველა ჩახლობელი მთა.

დაუძლეველი ძალის ასეთი გაგების მოწინააღმდეგენი გამოთქვამენ აზრს, რომ პასუხისმგებლობისგან განთავისუფლებისათვის საჭიროა, რომ თავიდან აცილების შეუძლებლობა ობიექტიური იყოს, რადგან ნხოლოდ ამ ნიშნით განსხვავდება დაუძლეველი ძალა შემთხვევისაგან.

სხვათა შორის რ. ს. ფ. ს. რ-ის საარბიტაჟო კომისია იმ გადაწყვეტილებას, რომელიც გამოტანილ იქნა 1925 წლის 15 იანვარს საგუბერნიო სატყეო მრეწველობის სარატოვის გაერთიანების საქმეზე რიაზან-ურალის რკინის გზებთან, იძლევა დაუძლეველი ძალის ცნების შემდეგ განსაზღვრავს: „დაუძლეველი ძალა უნდა გავიგოთ როგორც ისეთი შემთხვევა, რომლის მოქმედების თავიდან აცილება შეუძლებელი იყო ყოველგვარი გაფრთხილებით. ასეთ შემთხვევას უმთავრესად მიეკუთვნოს ბუნების გარდაუვალი სტიქიური ძალები (წყალდიდობა, ძლიერი ღელვა, ქარიშხალი, მეხა და სხვ.). ამის გარდა გარდაუვალად შეიძლება მიჩნეულ იქნენ სამაედრო მოქმედებანი, ხალხის მღელვარება და უზედური შემთხვევები“.



დაუძლეველი ძალის ცნების ყველა აღნიშნული განსაზღვრა მოცემულია არა სახელმწიფო დაწესებულებასა, არამედ ცალკე პირებისა და საწარმოთა მიმართ და მიუხედავად ამისა, როგორც ზემოდ იყო აღნიშნული, ცალკე პირების და საწარმოთა პასუხისმგებლობისაგან განთავისუფლებისათვის საჭიროა ობიექტიური შეუძლებლობა შემთხვევის თავიდან აცილებისა. დაწესებულების მიმართ ყოველ შემთხვევაში საჭიროა სწორედ ასეთი ობიექტიური შეუძლებლობა. ამის გარდა სახეში უნდა გვექნოდეს ის, რომ ასეთ პირობებშიაც ყოველ შემთხვევაში არ შეიძლება იქნეს მოხსნილი პასუხისმგებლობა დაწესებულებისაგან ფულის და საზოგადოდ ისეთი ქონების დაკარგვისა, რაც განსაზღვრულია გვარობითი ნიშნებით, რადგან ისინი ჰკარგავენ თავის სახეს სახელმწიფო დაწესებულების ან თანამდებობის პირის მიერ მათი მიღებისას ქვეთარის გაცემით.

დასასრულ უნდა აღნიშნოს, რომ უკრაინის კოდექსის 407¹ მუხლით ქონებრივი პასუხისმგებლობის შეზღუდვა, დაწესებული 407 მუხლით, არ ვრცელდება იმ ქონების დაკარგვის ან დაზიანების შემთხვევებზე, რომელიც რწმუნებამოსილი თანამდებობის პირთა ან სხვა მოსამსახურეების სახით მიღებულია დაწესებულებას მიერ იმ მოქალაქეებისაგან, რომლებიც მოვალენი იყვნენ ან რომელთაც ჰქონდათ უფლება ეს ქონება გადაეცათ ამ დაწესებულებისათვის. ხაზგასმულ სიტყვებს შეუძლია გამოიწვიოს გაუგებრობა, რადგან აქ დაპირდაპირებულნი არიან ერთმანეთთან ქონების მიღებისათვის რწმუნებამოსილი თანამდებობის პირები და სხვა მოსამსახურეები, რომლებსაც თითქოს ასეთი რწმუნება არა აქვთ. მაგრამ რაკი ქონება ჩაბარებულია არა რწმუნებამოსილ პირისათვის, დაწესებულება არც არის მოვალე პასუხა აგოს მის მიერ მიღებულ ქონებისათვის. მეორეს მხრივ ამ მუხლში ლაპარაკია მხოლოდ დაწესებულებისათვის ჩაბარებულ ქონებაზე, მაგრამ კანონის ძალით ქონების მიღების რწმუნებამოსილობა არა მარტო დაწესებულებას აქვს, არამედ თანამდებობის პიოსაც სასამართლოს აღმასრულებლები, მილიციის თანამშრომლები და სხვ.), ამიტომ 407¹ მუხლში ხაზგასმულ სიტყვების ნაცვლად უნდა ითქვას, რომ დაწესებულება პასუხს აგებს იმ ქონების დაკარგვის შემთხვევაში, რომელიც მიღებულია მის მიღებისათვის უფლებამოსილი თანამდებობის პირის ან დაწესებულების მიერ ამისათვის რწმუნებამოსილი მოსამსახურეთა სახით... და აგრეთვე ისიც, რომ ამ პასუხისმგებლობას ადგილი აქვს მაშინ, როცა ქონება მიღებულია მოქალაქეებისაგან, რომლებიც კანონის ძალით მოვალე იყვნენ ან რომლებსაც უფლება ჰქონდათ ეს ქონება ჩაებარებინათ არა მარტო დაწესებულებისათვის, როგორც ლაპარაკია ამ მუხლში, არამედ თანამდებობის პირისათვისაც და სხვა ასეთი შესწორება აუცილებელია, რადგან სხვაფრივ, როგორც ნათქვამია ზევით 407¹ მუხლის რედაქციას შეუძლია გამოიწვიოს გაუგებრობა იმ ფულის დაკარგვისას, რომელიც გადახდევინებულია სასამართლოს აღმასრულებლის მიერ, რადგან მუხლში ლაპარაკია დაწესებულებაზე თანამდებობის პირის სახით და არა თანამდებობის პირზე, რომელიც ერთპიროვნულად მოქმედობს.

ზემოაღნიშნულის მიხედვით კანონს სახელმწიფო დაწესებულების პასუხისმგებლობის შესახებ უნდა მიეცეს უფრო მოკლე რედაქცია, რომელიც შე-

იცავს ყველა შემთხვევას: „სახელმწიფო დაწესებულება პასუხს აგებს იმ ქონების მთლიანობისა და ხელუხლებლობისათვის, რომელიც დაწესებულებისათვის ან თანამდებობის პირისათვის ჩაბარებულია დაზარალებულის მიერ ან დაზარალებულის სასარგებლოდ კანონის ძალით ან სასაპართლოს გადაწყვეტილების, განაწინის, დადგენილების, ადმინისტრატიული ორგანოს კანონიერ განკარგულების შესასრულებლად ან ადმინისტრაციის განკარგულების თანახმად, რომელიც ემკარება ამ სახელმწიფო დაწესებულებაში მოქმედ შინა წესრიგის წესებს“.

აღნიშნულ შემთხვევებში სახელმწიფო დაწესებულება მოვალეა აუნაზღაუროს დაზარალებულს ნამდვილი ზიანი ქონებისა. დაწესებულება განთავისუფლდება პასუხისმგებლობისაგან, უკეთუ დადასტურებულ იქნა, რომ ზიანი წარმოსდკა თვით ქონების თვისებებიდან ან გამოწვეულია სტაქიურ, ობაექტიური დაუძლეველი ძალით და ეხება გვარობითი ნიშნებით განსაზღვრულ ქონებას.

ა. კუსნიკოვი.

ძველ სამუშაო აღგილზე აღდგენის უპირატესი უფლების შესახებ*)

მშრომლების სამუშაოდან დათხოვნის საკითხში, შტატების შემცირების გამო (შრომის კ. კ. მე 47 მუხ., „ა“ პუნ.) კანონის მიერ არ ყოფილა მიღებული საკმაო ზომები იმ მშრომელთა ინტერესების სათანადო დაცვისათვის, რომლებს სათვისაც უმუშევრობა განსაკუთრებით საკრძნობია, და რომელნიც ამ უმუშევრობამ შეიძლება გამოუვალ მდგომარეობაში ჩააყენოს. მხოლოდ რ. ს. ფ. ს. რ. 1928 წ. 6 თებერვლის № 20 დადგენილების გამოცემით (Изв. НКТ № 9), რომელიც პროტოტაპი იყო ა/კ. შრომის სახ კოპის 1928 წ. 26 აპრილის № 71 ასეთსავე დადგენილებისა (Вестник Закнаркомтруда № 12), ამ საკითხმა სათანადო გადაჭრა ჰპოვა: დაჭირავების თვითნებობას, მშრომელთა სამუშაოდან დათხოვნის დროს მე 47 მუხ. „ა“ პუნ. დახმარებით, ერთგვარი საზღვარი დაედო, რადგან თვით დათხოვნა ამ დადგენილებით ერთგვარ დამოკიდებულებაში იყო ჩაყენებული იმ პირთა ოჯახურ-ეკონომიურ პირობებიდან, რომელნიც იმ სამუშაოზე მუშაობენ სადაც შემცირება უნდა მოხდეს.

მაგრამ ეს დადგენილება მხოლოდ ერთ საკათხსა სწყვეტს: როგორი ზომებია საჭირო იქნეს მიღებული, რომ ავით შტატების შემცირების დროს დათხოვნა დამოკიდებული იყოს არა დაქირავებულას თვითნებობისაგან არამედ მშრომელთა ოჯახურ-ეკონომიურ მდგომარეობაზე. მაგრამ ეს დადგენილება მაინც არ ეხება იმ საკითხს, რომელიც ჩვენ გვიანტერესებს, სახელდობრ დასაშვებია თუ არა რომ ამა თუ იმ საწარმოდან შტატების შემცირების გამო დათხოვნილი მუშა მოსამსახურენი, აღდგენილი იქნენ სამსახურში თუ ამ შემცირების შემდეგ შტატი ისევ გადიდებული იქნა ან თუ ამ საწარმოსა ან დაწესებულებაში განთავისუფლდა როლმელიმე შტატში დარჩენილი აღგილი.

*) იხ. „საბჭ. საბართ“. № 2.

სხვანაირად, რომ ვსთქვათ, ეს იმასა ნიშნავს რომ ვსცნოთ ამ უჭუშევარის უპირატესი უფლება, იმ საწარმოში ან დაწესებულებაში ადგილის მიღებაზე, სადაც ის წინეთ მუშაობდა და საიდანაც ის დათხოვნილ იქნა შტატების შემცირების ან მუშაობის შეჩერების გამო. ამ საკითხზე ჩვენი შრომის კანონმდებლობა საჭირო პასუხს არ იძლეოდა იქამდე, სანამ არ დაიბადა სახელმწიფოებრივი საჭიროება შტატების შემცირებისა—რაციონალიზაციისა და ადმინისტრაციულ-სამეურნეო ხარჯების შემცირების გამო. ამ სახელმწიფოებრივი საჭიროების შესასრულებლად გამოცემალი დეკრეტები მნიშვნელოვან რიცხვს მშრომელებისა უმუშევართა კადრში რიცხავდა. ცხადია რომ მათი ბედი კანონმდებელს აინტერესებდა. იმ მიზნით რომ დათხოვნილ მშრომელთა ინტერესები, რაც შეიძლება უკეთ ყოფილიყო უზრუნველყოფილი, გამოიცა სოც. საბჭ. რესპუბლიკის შრომის კომისარიატის 1927 წ. 10 ოქტომბრის № 317 დადგენილება, რომელშიაც დასმული და ნაწილობრივ გადაჭრილიც იყო ის საკითხი, რომელზედაც ჩვენ ზემოთ ვლაპარაკობდით.

აღნიშნულ დადგენილების თანახმად, აპარატის ან წარმოების რაციონალიზაციის, აგრეთვე 1927/28 წ. სმეტებით ხარჯების შეცირების გამო დათხოვნილ მშრომელთ, სხვა პრავილეგიათა გარდა ენიჭებოდათ კიდევ ერთი შედეგით: თუ აღნიშნულ დაწესებულებებში, განთავისუფლდა ადგილი, მაშინ იმ უმუშევარ მოსამსახურეთ, რომელნიც დათხოვნილი იყვნენ ამ დაწესებულებიდან რაციონალიზაციისა ან ხარჯების შეცირების გამო ენიჭებოდათ განთავისუფლებულ ადგილზე გაგზავნის უპირატესი უფლება. ეს უპირატესი უფლება თავის დაწესებულებასა ან საწარმოში საუშუაოს მიღებისა 1927 წ. 10 ოქტომბრის დადგენილების თანახმად მოითხოვს შემდეგ პირობათა არსებობას: თანაბარ კვალიფიკაციას, გარდა ამისა კიდევ იმას, რომ მის ოჯახში სხვა დამოუკიდებელი შემოსავლის მქონე მუშაკი არავინ იყოს და რომ თანამდებობა, განთავისუფლებულ იქნეს არა უგვიანეს ერთი წლისა მისი დათხოვნის დღიდან.

აღნიშნულმა დადგენილებამ საკითხი საბოლოოდ მაინც ვერ გადასჭრა. ამ დადგენილების დეფიციტებით შეიძლება ჩაითვალოს შემდეგი მომენტები: 1) ის ეხება მხოლოდ მოსამსახურეებს და სრულიად არ იხსენიებს მუშებს, 2) ის ეხება მხოლოდ იმ შემთხვევებს დათხოვნისა, როდესაც ის ხდება აპარატის ან წარმოების რაციონალიზაციის და აგრეთვე 1927/28 წ. სმეტით ხარჯების შემცირების გამო, მაშინ როდესაც ის უნდა ეხებოდეს ყველა მშრომელთ, რომელნიც მუდმივ სამუშაოზე იმყოფებიან და დათხოვნილ არიან შრომის კან. კოდ. მე-47 მუხ. „ა“ და „ბ“ პუნქტის ძალით, 3) მასში ლაპარაკია იმაზე, რომ მშრომელს აქვს უფლება დაბრუნდეს თავის საწარმოში ან დაწესებულებაში მხოლოდ მაშინ თუ მისი დათხოვნის შემდეგ ამ დაწესებულებასა ან საწარმოში განთავისუფლებული თანამდებობა და არაფერს ამბობს იმის შესახებ, რომ ეს უფლება უნდა იქნეს ცნობილი მშრომელზე იმ შემთხვევაშიაც თუ აღდგენილ იქნა ძველი შტატები ან თუ მისი გადიდება ხდება.

სადათა აგრეთვე მითითება იმაზე, რომ მშრომელის ოჯახში არავინ იყოს ისეთი, რომელსაც დამოუკიდებელი შემოსავალი ჰქონდეს. რადგან კანონი სცნობს მშრომელის უფლებას განსაზღვრულ ვადის განმავლობაში დაბრუნდეს იმ სა-

წარმოსა ან დაწესებულებაში, სადაც ის წინეთ მუშაობდა, ეს უფლება არ უნდა იყოს დაკავშირებული იმ გარემოებასთან არის თუ არა მის ოჯახში მშრომელი, რომელსაც დამოუკიდებელი შემოსავალი აქვს. შემხლუღველ მომენტებათ აქ უნდა იყოს შემდეგი: 1) თანაბარი კვალიფიკაცია, 2) დათხოვნილ მშრომელის უმუშევრობა უნდა რეგისტრაცია ქმნილ იყვეს, 3) განსაზღვრული ვადა, რომლის განმავლობაში დასაშვებია მისი განხორციელება. თანაბარ კვალიფიკაციის მოთხოვნა აუცილებელ რასმეს წარმოადგენს, რადგან მხოლოდ ამ შემთხვევაში ხდება შესაძლებელი თავის ან შესაფერის ადგილზე დაბრუნება. რაც შეეხება ვადას, უნდა ითქვას, რომ მისი დაწესება აუცილებელია, რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში დამქარავებელს მოუკა ურიცხვი მოთხოვნა საუშაოზე უკან დაბრუნების შესახებ რაც მთელ რიგ ზედმეტ დავებს შექქნის. და ბოლოს თავის თავად ცხადია, რომ ძველ სამუშაო ადგილზე დაბრუნების აუცილებელ პირობას წარმოადგენს რეგისტრაცია ქმნილი უმუშევრობა. ამიტომ თუ მშრომელმა მოასწრო ახალი ადგილის შოვნა მას აღარა აქვს უფლება მოითხოვოს ძველ ადგილზე დაბრუნება, რადგან ის უმუშევრობას აღარ განიცდის.

სოც. საბჭ. რესპ. კავ. შრომის კომ. ამ დადგენილების ნაკლათ უნდა ჩაითვალოს ის, რომ კანონი არ მიგვითითებს არაკითარ გარანტიებზე, რომლითაც უზრუნველყოფილი იქნება ამ დადგენილების პირველი მუხლის მე-2 პუნქტში აღნიშნულ შეღავათების ცხოვრებაში გატარება. კანონი არ მიგვითითებს აგრეთვე იმაზე, თუ როგორ შეუძლიან მშრომელს იძულებითი წესით განახორციელოს თავისი უფლება ძველ სამსახურში დაბრუნებისა. პრაქტიკამ დაგვანახა, რომ ამ დადგენილებას მყარი საფუძველი არა აქვს, რადგან, ერთის მხრივ იგი მიმართულია შრომის ბირჟებისადმი, და თუ ეს უკანასკნელი დაარღვევენ ამ დადგენილებას, მაშინ მშრომელს აღარ ძალუძს განახორციელოს თავისი უფლება, მეორეს მხრით კანონში არავითარი მითითება არ არის იმაზე, რომ მშრომელს უფლება აქვს მოსთხოვოს დამქარავებელს დაბრუნება ძველ სამსახურის ადგილზე. საჭიროა გამოცემა სათანადო დადგენილებისა, რომელიც კანონის ამ ნაკლს გამოასწორებს. ამ დადგენილების გამოცემის დროს სანიმუშოთ შეიძლება ავიღოთ რ. ს. ფ. ს. რ. იუსტიციის და შრომის სახალხო კომისარიატების 1928 წ. 18 აგვისტოს (ИЗВ. Н. К. Т. № 40) დადგენილება—დამქარავებლის მიერ შრომის ბირჟიდან გაგზავნილ მუშა ძალის მალეებაზე უარის თქმის გასაჩივრების წესის შესახებ. ეს დადგენილება ეხება იმ მშრომელთ, რომელნიც პირველათ არიან გაგზავნილი შრომის ბირჟის მიერ და რომელთა გამოსაცდელად მიღებაზე უარს ამბობს დამქარავებელი. მოცემულ შემთხვევაში საკითხი დაისმის არა პირველად გამოცდაზე, რადგან მშრომელი ბრუნდება სამსახურისათვის იმ საწარმოსა ან დაწესებულებაში, სადაც ის მანამდე მსახურებდა, არამედ დამქარავებლის უარის თქმაზე მიიღოს სამსახურში ძველი მოსამსახურე იმ მიზეზით, რომ მას არა აქვს ისეთი კვალიფიკაცია, რაც საჭიროა თავსუფალი ადგილის დაკერისათვის, თუ ეს თანამდებობა ისეთივე არ არის, როგორიც წინეთ ეჭირა მშრომელს.

რა თქმა უნდა ამ შემთხვევაში დამქარავებელს არ შეიძლება წაერთვას უფლება აღძრას დავა იმის შესახებ რომ მშრომელის კვალიფიკაცია არ შეეფ-

რება განათავისუფლებულ თანამდებობას. რადგან აღნიშნულ შემთხვევაში დამქირავებელი უარს ამბობს მიიღოს შრომის ბიუჯის მიერ გამოგზავნილი უპირატესი უფლების მქონე ყოფილი მოსამსახურე, ამ უკანასკნელს უნდა მიეცეს უფლება გაასაჩივროს ეს უარი სამუშაოზე ხელახლათ მიღებისა შემფ. საკონფ. კომისიაში. თუ შემფ. საკონფ. კომისიაში შეთანხმება არ იქნა მიღწეული, მშრომელს აქვს უფლება ძიების წესით მოითხოვოს მისი მიღება სამუშაოთ იმ საწარმოსა ან დაწესებულებაში, სადაც ის მსახურებდა შტატების შემცირებამდე.

ასეთი დადგენილების გამოცემა, რომელიც მოიცავს: 1) სამუშაოზე უპირატესი გაგზავნის შემთხვევებს, 2) შტატების შემცირებისა ან მუშაობის შტატების გამო დათხოვნილ მშრომელის ძველ, მუდმივ სამუშაო ადგილზე დაბრუნების შესაძლებლობას, 3) ცხოვრებაში რეალურათ გატარებას მშრომელის ამ უფლებასა, რომელსაც ზედ დაერთვის უფლება სამუშაოზე მიღების უარის თქმის გასაჩივრებისა შემფ. საკონფ. კომისიაში და შემდეგ შრომის სასამართლოში, — ნაკარნახევია თვით ცხოვრების მიერ და იმ გარემოებით, რომ ეს უფლებანი უკვე ცნობილია მშრომლებზე სხვადასხვა ადგილას ჩვენი შრომის კანონმდებლობით. ასე მაგალითად. სამუშაოზე მიღების უპირატესი უფლების საკითხს ნაწილობრივ ეხება სოც. საბჭ. რესპ. შრომის კომისარიატის 1928 წ. 5 აპრილის დღგენილება № 207, რომელიც ლაპარაკობს სოც. საბჭ. რესპ. ცაკისა და სახკომ. საბჭოს 1926 წ. 4 ივნისის დადგენილების — სეზონურ სამუშაოებზე შრომის პირობების შესახებ, გამოყენებას წესზე. სხვათა შორის ამ დადგენილებაში მოყვანილია მშრომელის მუდმივ სამუშაოდან სეზონურზე ან სეზონურიდან მუდმივზე გადაყვანის წესები. ამ დადგენილების მე-17 მუხლათ აღიარებულია, რომ მშრომელის ან მოსამსახურის მუდმივ სამუშაოდან სეზონურზე გადაყვანა დასაშვებია მხოლოდ მხარეთა შეთანხმებით, მაგრამ შემდეგ მოყვანილია ის შემთხვევები, როდესაც დამქირავებელს მშრომელთან შეთანხმების გარეშე უფლება აქვს მოახდინოს ასეთი გადაყვანა. ეს შემთხვევები არიან შემდეგი: იმ სამუშაოს უქონლობა, რომლის ასრულებისათვის მოწვეული იყო მუშა ან მოსამსახურე, საწარმოს, დაწესებულების ან მეურნეობის ნაწილობრივი ლიკვიდაცია და აგრეთვე მუშაობის შეჩერება ერთ თვეზე მეტი ხნით. ამ სამ შემთხვევაში დამქირავებელს უფლება აქვს დათხოვოს ნაცკლად გადაიყვანოს მშრომელი სეზონურ სამუშაოზე. ისმის საკითხი, თუ როგორ უნდა მოიქცეს მუდმივ სამუშაოდან სეზონურზე გადაყვანილი მშრომელი, როდესაც დასრულდება სეზონურ სამუშაოს ვადა. ცხადია, რომ უპირველესათ ყოვლისა მშრომელი შედის შრომის ბიუჯის უმუშევართა კადრში და უნდა უცადოს ადგილის მიღებას საერთო წესით. კანონი საჭიროთ სცნობს, რომ ასეთი მშრომელისათვის უზრუნველყოფს მუდმივი სამუშაო ადგილის მიღების შესაძლებლობა. მე-7 მუხლას მე-2 შენიშვნაში პარაფირ ნათქვამია, რომ მუდმივ სამუშაოდან სეზონურზე გადაყვანილ მუშას, სეზონურ სამუშაოს დამთავრების შემდეგ „ექლვეა გარანტია პირველ რიგში სათანადო კვალიფიკაციის მუდმივ სამუშაოს მიღებასა“. სამუშაოთ კანონი არათერს ამბობს იმის შესახებ, რომ ეს გარანტია პირველ რიგში მუდმივ სამუშაოს მიღებისა უნდა ეხებოდეს მუდმივ სამუშაოს იმ დაწესებულებასა ან სა-

წარმოში, საიდანაც ის იყო დათხოვნილი სეზონურ სამუშაოზე გადაყვანის შემდეგ, რადგან შრომელს მტკიცედ აქვს შეგნებული, რომ მას უფლება აქვს დაბრუნდეს ძველ სამსახურის ადგილზე საიდანაც ის დათხოვნილი იყო შტატების შემცირებისა ან მუშაობის შეჩერების გამო.

ჩვენთვის ცნობილია შემდეგი საინტერესო შემთხვევა შრომის პრაქტიკიდან, როდესაც მთელი ჯგუფი ნოსამსახურებისა დათხოვნილ იყვნენ მუშაობის შეჩერების გამო, და შემდეგ მოითხოვდნენ - ძველ სამსახურის ადგილზე დაბრუნებას. შეჩერდეთ ამ მაგალითზე უფრო დაწვრილებით.

ერთი სახელმწიფო თეატრთაგანი მუშაობს პირველ ოქტომბრიდან პირველ ივნისამდე. ამ თეატრში ტარდება ჯერ ეგრედ წოდებული საოპერო „სეზონი“ და შემდეგ ჩამოდიან გასტროლიორები. ზაფხულის თვეებში ეს თეატრი არ მუშაობს. თეატრში მსახურებენ მრავალრიცხოვანი კაპელდინერები და დამლაგებლები, რომელნიც სეზონის დამთავრების შემდეგ დათხოვნილბათ ითვლებიან, იღებენ გამოსასვლელ დახმარებას ტარდებიან რეგისტრაციაში შრომის ბირჟაში, როგორც უმუშევრები. ახალი სეზონის გახსნისას ისინი ხელახლა დგებიან ძველ სამუშაოზე. ასე მუშაობდნენ ისინი მთელ რიგ წლების განმავლობაში. ახალი სეზონის გახსნამდე ადმინისტრაცია გზავნიდა შრომის ბირჟაში სახელობით მოთხოვნილებას, და ითხოვდა, რომ სამუშაოთ გამოეგზავნათ ძველი მოსამსახურენი. მაგრამ უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში, ადმინისტრაცია აღარ გზავნიდა სახელობით მოთხოვნილებებს ბირჟაში, და ამ უკანასკნელმა კი დაიწყო გავზავნა თეატრში სამუშაოთ კაპილდინერების და დამლაგებლების თანამდებობაზე სხვა პირების რიგის მიხედვით, იმ პირობა რიცხვიდან, რომელნიც რეგისტრაციას იქნენ არიან შრომის ბირჟაში. ხელოვნების მუშაკთა კავშირი იძულებული იყო ამ შემთხვევებში მიემართა შრომის სასამართლო საათვის ძაებით, რათა სამუშაოზე დაშვებული ყოფილიყვნენ ძველი მოსამსახურენი, რომელნიც წლიდან წლამდე მუშაობდნენ თეატრში. საქმის განხილვისას შრომის და უზენაეს სასამართლოში მოპასუხე შემდეგ პასუხს იძლეოდა: კაპელდინერები და დამლაგებლები არ შეიძლება ჩაითვალოს მუდმივ მოსამსახურეებათ, რადგან ისინი მუშაობენ მხოლოდ თეატრალური სეზონის განმავლობაში. სეზონის გასვლის შემდეგ თეატრის მოლვეწეობა საწარმო ხასიათის მიხედვით სწყდება ერთ-თვეზე მეტი ხნით, ამიტომ ხელშეკრულება აღნიშნულ მშრომელებთან ერთხელ და სამუდამოთ გაუქმებლათ უნდა ჩაითვალოს და ისინი უნდა შევიდნენ უმუშევართა საერთო კადრში და არ უნდა ჰქონდეთ ძველ საწარმოში სამუშაოთ დაბრუნების უპირატესი უფლება, რადგან ასეთი უფლება მათ კანონის მიერ მინიჭებული არა აქვთ ხოლო კოლექტიურ ხელშეკრულებაში ეს უფლება გათვალისწინებული არ არის. შრომის ბირჟის მოქმედებისათვის-კი, რომელიც მორიგ უმუშევრებს აგზავნის სამუშაოთ, მოპასუხე მხარე არ უნდა აგებდეს პასუხს. მოპასუხე მხარის საპასუხო განცხადების მიუხედავად შრომის სესია და საქ. სოც. საბჭ. რესპუბლიკის უზენაესი სასამართლო მათ არ ეთანხმებოდა და ორთავე შემთხვევაში აღადგინა კაპელდინერები და დამლაგებლები ძველ ადგილებზე. შრომის სესია და უზენაესი სასამართლო ხელმძღვანელობდნენ შემდეგი მოსაზრებებით, რომლებზედაც მიუთითებდა მძაბელი მხარე: აღნიშნული მშრომელები არიან მუდმივი მოსამ-



სახურენი და არა სეზონური მუშაკები, რადგან სეზონურ სამუშაოთა სიაში ისინი აღნიშნული არ არიან. თეატრალური სეზონის დამთავრება არ შეიძლება ჩაითვალოს სეზონურ სამუშაოს დამთავრებად. თეატრალური სეზონის დამთავრება არ შეიძლება აგრეთვე იყოს გათანაბრებული მუშაობის შეჩერებასთან საწარმოო ხასიათის მიზეზებით. აქ მუშაობის შეჩერება გამოწვეულია არა ობიექტიური შეუძლებლობით მისი განგრძობისა, რადგან სინამდვილეში არავითარი ობიექტიური დაბრკოლება არ არის იმისათვის, რომ თეატრალური მუშაობა ზაფხულშიც იქნეს განგრძობილი. ამ შემთხვევაში მუშაობის შეჩერება გამოწვეულია არა ობიექტიურ, საწარმოო, მიზეზებით, არამედ იმით, რომ ადმინისტრაცია მიზანშეუწონლათ სთვლის გააგრძელოს ზაფხულში თეატრალური წარმოდგენები. რადგან კოლექტიურ ხელშეკრულებაში არ არის გათვალისწინებული კაპულანერებისა და დამლაგებლებას მუშაობის ვადა, ადმინისტრაციას სრულებით არ ჰქონდა უფლება დაეთხოვნა ისინი სამუშაოდან გასასკლელ დახმარების მიცემით, იმის გამო რომ არ არის ის პირობები, რომელაც აღნიშნული შრომის კანონთა კოდექსის მე-47 მუხლის „ა“ და „ბ“ პუნქტებში. რაც შეეხება იმას, რომ მაძიებლებმა უარი სთქვეს ზაფხულის განმავლობაში სამუშაო ხელფასის მიღებაზე და გატარდნ რეგისტრაციაში შრომის ბირებაში, ეს მომენტები სრულებით არ უსპობენ მათ უფლებას იმ მუდმივ სამუშაოს გაგრძელებისა, როგორცედაც ისანი მრავალი წლების განმავლობაში იყოფებოდნენ. ამიტომ თეატრალური სეზონის განახლებისას კაპულანერებს და დამლაგებლებს აქვთ უპირატესი უფლება შრომის ბირებიდან ძველ სამუშაო ადგილზე გაგზავნისა.

ამ მოსახრებებს, გარდა უკანასკნელი მოსახრებისა, რომ მაძიებლებს აქვთ ძველ სამუშაო ადგილზე გაგზავნის უპირატესი უფლება, აქვთ გამართლება მომქმედ შრომის კანონმდებლობაში. ეს უკანასკნელი მოსახრება არ არის გამართლებული შრომის კანონმდებლობით, მაგრამ აუცალბებელი ლოლიკური შედეგია იმ დებულებიდან, რომ თუ საწარმო ფაქტურათ განაგრძობს თავის მუშაობას, თუნდაც ეს მუშაობა დროგამოშვებით შეჩერებას განიცდიდეს, მუდმივ მოსამსახურეს და მუშას უფლება აქვს ამ შეჩერების შექმდე მოითხოვოს მისი დაშვება სამუშაოზე. მაგრამ ეს შედეგი უფრო სამართლიან შრომის ინტუციიანება დაფუძნებული, ვიდრე კანონის ტექსტზე.

ამიტომ ვიმეორებთ, ცხოვრება მოითხოვს ისეთ დადგენილების გამოცემას, რომელიც აძლევდეს უფლებას იმ მშრომელთ, რომელნიც დათხოვნილ იქნებიან მუდმივ სამუშაოდან, შტატების შემცირების, საწარმოო მიზეზებით გამოწვეულ მუშაობის შეჩერების, ან ისეთ შეჩერების გამო, რომელიც გამოწვეულია დაქირავების შეხედულებით, მოითხოვოს ძველ სამუშაო ადგილზე დაბრუნება უპირატესათ შრომის ბირებაში რეგისტრაცია ქმნილ სხვა შემთხვევართა წინაშე, თუ შემცირებული თანამდებობა ისევ აღდგენილ იქნა, შტატი გაუართოვდა, განთავისუფლდა ვაკანსია ან განახლდა შეჩერებული სამუშაო.

ლენინგრადის ოლქის იუსტიციის მუშაკთა | ყრილობის შედეგები

იანვრის ბოლოს დამთავრდა ლენინგრადში იუსტიციის მუშაკთა ყრილობა, რომელიც მოსამზადებელია ქ. მოსკოვში 20 თებერვალს მოწვეულ საკავშირო ყრილობისათვის.

სისხლის სამართლის კოდექსის პროექტის შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. კრილენკომ, რომელმაც განაცხადა, რომ „სისხლის სამართლის რეპრესიების გადასინჯვა არის ჩვენი მუშაობის პრაქტიკულ პრინციპების გადასინჯვა. ახალ კოდექსს საფუძვლად დადებული აქვს რევოლუციონერ მიზანშეწონილობის პრინციპი და მისი მიზანია ისეთ ღონისძიებათა სისტემის შექმნა, რომელიც მიმართული იქნება პროლეტარული სახელმწიფოს და ახალ ყოფა-ცხოვრების საფუძვლების თვით დაცვისათვის“. აქამდე მიღებული ბუნდოვანი ტერმინი „სოციალური დაცვის ღონისძიებანი“ შეცვლილია პროექტში ტერმინით „პროლეტარულ საზოგადოების თვითდაცვის ზომები“-თ მისი მეთოდები იქნება: 1) ფიზიკური განადგურება—პირდაპირი თვითდაცვა. 2) იზოლაცია—ე. ი. საზოგადოებიდან გამოყოფა სოციალურად მავნე სუბიექტის და 3) პირდაპირ გაფრთხილების მეთოდი—გაძევება და გადასახლება (არა ნაკლებ 3 და არა უმეტეს 10 წლისა). გარდა ამისა, პროექტი ითვალისწინებს სოციალურად შეუფერებელ ელემენტებისაგან, რომელნიც პროლეტარულ საზოგადოების ზედმეტი ბალასტია, განთავისუფლებას (მაგ. უმედო ალკოგოლები). იზოლაციის მაქსიმალურ ვადათ მიღებულია 2 წელი; სოციალურად საშიშ ელემენტებისათვის კი—5 წელი და მათი ყოფა-ქცევისაგან პატიმრობის დროს დამოკიდებულია იზოლაციის გაგრძელების საკითხის გადაწყვეტა. გარდა ამისა ყველა ასეთ შემთხვევაში წინასწარ გათვალისწინებულია აუცილებელი გადასახლება 5 წლით, როგორც იზოლაციის შესუ ტებული ფორმა. (დასახლება, შეიძლება დაინიშნოს წინასწარ თავისუფლების აღკვეთის მიუღებლად) დასახლებას თანასდევს აგრეთვე გარკვეულ პუნქტებში დაბრუნების აკრძალვა 5 წლის ვადით. ამგვარად მაქსიმალურ ვადაა პროექტით მიღებულია 5 წელი ათი წლის მაგიერ, მაგრამ ეს 5 წელი ნამდვილად გატარებული იქნება ცხოვრებაში, რეალურად იქცევა. პროექტი ითვალისწინებს, იზოლაციის, გაძევების და კონცენტრაციულ ლაგერში გაგზავნის გარდა საგანგებოთ არა სასიამოვნო სამუშაოს, იძულებით სამუშაოს, კონფესკაციას, ჯარიმას და საზოგადოებრივ გაკიცხვას. მხურვალე მსჯელობის შემდეგ მის გარშემო პროექტი მიღებულ იქნა ყრილობის მიერ.

ყრილობამ მოისმინა აგრეთვე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის პროექტიც (მომხსენებელი ამხ. ბასოვი), რომლის მიზანია რაც შეიძლება გამარტივოს და დააჩქაროს, როგორც წინასწარი აგრეთვე სასამართლოს გამოძიება, წინანდელ 460 მუხლების მაგიერ ახალ კოდექსში არის 150 მუხლამდე. პროექტი ითვალისწინებს ბოროტმოქმედებათა გამოძიების მთლიან ორგანოს არსებობას და აუქმებს დანაწილებას წინასწარ ძიებას და გამოძიების ორგანოებს შორის. საქმის გამოძიება უნდა დამთავრდეს 6 თვის განმავლობაში დღიდან გა-

მოძიების დაწყებისა. აღსაკვეცი ზომები შემდეგია: 1) პირადი თავდებობა, 2) კოლექტიური თავდებობა და 3) ხელწერილი და დაპატიმრება, ბე და ქონებრივი თავდებობა უარყოფილია. გამოძიებელს შეუძლიან ცალკე შემთხვევებში მოსპოს საქმე, თუ დარწმუნდება, რომ ბრალდება არ შეიძლება დამტკიცებული იქნას.

დამცველი შეიძლება იყოს დაკითხული, როგორც მოწმე და მას შეუძლიან უარი სთქვას დაცვაზე თუ სცნობს, რომ დაცვისათვის არა აქვს ნიადგა. ნხარეთა კამათი შეიძლება განისაზღვროს ვადით. საკასაციო ინსტანციას შეუძლიან გაადიდოს პირველად საქმის მოსმენის დროს მიღებული სოციალურ დაცვის ღონისძიება. სამოქალაქო ძიება შეიძლება აღიძრას ყოველ მომენტში, მხარეთა კამათის წინ. პროექტის შესახებ ამხ. კრილენკომ განაცხადა, რომ „ჩვენ ვისწრაფით რაც შეიძლება ნაკლებად შებოჭილი იყოს ყოფა-ცხოვრების საქმიების განხილვის ცოცხალი საქმე“. შრომითი-გასწორების დარგში, გათვალისწინებულია ნამდვილი იზოლაციის სახის მქონე იზოლატორების დაარსება სათანადო რეჟიმით. რაც შეეხება დამცველთა კოლეგიას, ამხ. კრილენკოს განცხადების თანახმად, იუსტ. სახ. კომი მის მოსპობას არ აპირებს, მაგრამ მტკიცედ მოითხოვს, რომ კოლეგიაში ჩატარდეს შინაგანი რეფორმა. დამცველი არის სასამართლოს დახმარება და მოვალეა თავი დაანებოს სურვილს: „მოატყუოს“ სასამართლო კლიენტის ინტერესების მიხედვით. „უნდა, ამბობს კრილენკო, „დაეკრათ კერძო კაბინეტს“—დაეწესოს „საერთო ქვაბი“ კოლეგიის წევრებისათვის ხარკოვის მაგალითის მიხედვით, რომელმაც ძალიან კარგი შედეგები მოიტანა.

ამხ. ოზოლინის და ადგილებიდან ჩამოსულთა მოხსენებებიდან გამოირკვა რომ ერთი სასამართლოს კამერა ემსახურება საშუალოდ 3-400 ადამიანს. მუშებს 44,7 პროცენტი, გლეხებს 29,4 პროცენტი.

ლენინგრადში იმყოფება 40 პროც. იმ პირთა როქელთაც თავისუფლების აღკვეთა აქვთ მისჯილი მინიმალურ ვადით და იუსტ. სახ. კომის ცირკულიარის თანახმად მათ უნდა მოიხადონ სასჯელი იძულებით მუშაობის სახით, მაგრამ თურმე 5000 კაცი უტდის თავის ჯერს, რადგან ყველასათვის ს. მკოფი იძულებითი სამუშაო არ არსებობს. ბოროტმოქმედებთა ჩადენამ ქალაქებში იკლო, მაგრამ ამავე დროს გაიზარდა სოფლებში, სადაც მაგალითად ხულიგნობამ შედარებით გასულ წელთან აიწია 16 პროცენტით. გამოძიებელთა 20 პროცენტით შეცვლილი უნდა იყოს მომავალში გეგმიან წესით 8 პროცენტი დაუოვრებელი (პროკურატურის და გამოძიების მუშაკთა კადრების გადახალისების საკითხი). წლის განმავლობაში ჩატარებული იყო 6700 გამოძიება გაზეთებში მოთავსებულ ცნობების მიხედვით მათგან დადასტურდა 65 პროცენტზე მეტი.

ბოლოს ყრილობამ მიიღო სისხლის სამართლის და საპროცესო კოდექსების თეზისები, მხოლოდ მხურვალე კამათი გამოიწვია საკითხმა იმას შესახებ, რომ მონხსენებლად პროექტის თანახმად, საქმის გარჩევას დროს უნდა იყოს არა სასამართლოს თავმჯდომარე, როგორც ეს ეხლა არის არამედ პროკურორი ან გამოძიებელი. ამ საკითხში ყრილობამ ხმის უმეტესობით მხარი დაუჭირა არსებულ მდგომარეობას, დანარჩენი დებულებები დადასტურებულია ცხოვრებაში გასატარებლად. ყველა ზემოთ აღნიშნული დებულება ხელმოკრიდ გახდება მსჯელობის საგნად საკავშირო ყრილობაზე ამა წლის 20 თებერვალს.

სახალხო მსაჯულთა მომავალ გადარჩევების შესახებ.

ახლო მომავალში დამთავრდება საბჭოთა არჩევნები და დაიწყება სახალხო მსაჯულთა არჩევნები. სასამართლოს ორგანოებისათვის გარკვევით უნდა ითქვას, რომ გასული წლის არჩევნები სახალხო მსაჯულთა, ჩატარდა არა საკმაო ყურადღებით და ხშირად სათანადო ინსტრუქციის დამახინჯებით, თუნდაც იმ საკითხში, რომ მსაჯულები უნდა ყოვილიყვნენ წერა-კითხვის მკოდნენა: აღსანიშნავია აგრეთვე ის გარემოება რომ გასულ წელს არ ექცოდა სათანადო ყურადღება ასარჩევ პირთა საზოგადოებრივ სტატუს და მათ არჩევას კლასიური მსოფლ-მხედველობით. **ლენინი** ლაპარაკობს: „სასამართლო არის პროლეტარიატის და უღარიბესი გლეხობის ხელისუფლების ორგანო“ სასამართლოს მნიშვნელობას ზრდას ხაზი გაუსვა საკავშირო კომპარტიის ყრილობამაც და მიუთითა სასამართლოს ორგანოების საშუალებით ბიუროკრატიაზე, უკაირობასთან და ადვინისტრიატულ სამეურნეო აპარატების მიერ წარმოებულ გულგრილობასთან ბრძოლის აუკლებლობაზე. შესაძლებელია თუ არა სავსებით ამისი შესრულება იმ პირობებში, რომელიც ჩვენ მივიღეთ გასული წლის არჩევნების შედეგათ? რა თქმა უნდა არა. ჩვენ თავს ვერ ვაჩქებთ და ვერ დავიმედდებით მით, რომ ვითომდა ჩვენი სასამართლოს ორგანოები სანაქებოდ მუშაობდნენ: საკმარისია გადავხედოთ მათ მუშაობას დავინახავთ ისეთ ამბებს, რომელსაც საბჭოთა ხელისუფლების დროს ადგილი არ უნდა ჰქონდეს. მაგალითად წლობით ვაგრძელება დარბთა და მოჯამაგარეთა საქმეებისა, მიუხედავად მრავალგვარ ცარკულიარების და დადგენილებებისა; ან და საკითხების ისე გადაჭრა, საიდანაც ნათლად მოსჩანს კლასიური საბევე და რაც გამოირკვა 1928 წლის ზაფხულზედ ჩატარებული გამოკვლევით აქედან გამოვლენარეობს სასამართლოს ორგანოების პირად შეუადგენლობის გაჯანსაღება და კვალიფიკაციის აწევა. მთავარ ამოცანას მომავალ არჩევნებში შეადგენს შეჩვევა ისეთ პირთა, რომელთაც შეცნობილი აქვთ საბჭოთა ხელისუფლების საერთო პოლიტიკა და ხაზი, და რომელთაც შესწევთ უნარი დაუნდობელი ბრძოლა აწარმოონ რევოლიუციონურ კანონიერების გატარებისათვის. საჭიროა ეხლავე შეუდგეთ მოსაწადებელ მუშაობას მომავალი გადარჩევისათვის. ამ გადარჩევებში უნდა მიიღოს მონაწილეობა არა მარტო სასამართლოს მუშაკებმა და სახალხო მსაჯულებმა, არამედ თვით მასამ, პარტულ ორგანიზაციების ხელმძღვანელობის ქვეშ, რადგან ეს კომპანია არის და იქნება ვაგრძელება ძირითად პოლიტიკურ კომპანიის საბჭოთა გადარჩევების. თავის თავად ცხადია სახალხო მსაჯული თავისი მუშაობით მონაწილეობას იღებს სახელმწიფო მართვა-გამგეობაში და ეს მოქმეტი არ გამოვარებათ ანტისაბჭოთა და კულაკურ ელემენტებს და ძალა-უნებურად გადარჩევების დროს მოკვიხდება შეტაკება მათთან, რომ ისინი არ გაძრნენ სახალხო მსაჯულთა შემადგენლობაში. ეს განსაკუთრებით მოსალოდნელია ამ უხად, როდესაც სოფლად კლასიური ბრძოლა თანდათან მწკავდება. ზედმეტი იმის აღნიშვნა თუ რა პასუხის მგებლობა აწევს ამ კამპანიისათვის ბეჭდვით ორგანოებსა და მუშსოფლკორებს.

პრაქტიკოსის შენიშვნები*)

ბ. ორჯონიძე.

სასამართლოს აღმასრულებელთა აკრების რაციონალიზაციის შესახებ¹⁾.

ვერაინ ვერ უარყოფს იმ გარემოებას, რომ სასამართლოებში ადგილი აქვს საქმის გაჭიანურებას, მაგრამ ამას მიზეზი მართო სასამართლოს აპარატი არ არის, უწყებების დარიგების წესის დღევანდელ პირობებში, არ შეიძლება საქმის გაჭიანურების მოსპობა. სასამართლოს ამ მამართლებით ნაყოფიერი მუშაობა მთლიანად დამოკიდებულია მილიციის ორგანოებზე. თუ ჩვენ თვალს გადავაგვლებთ სასამართლოებში საქმეების სხდომიდან მოხსნა-გადადებას და ვრწმუნდებით, რომ თითქმის 80 პროც. გამოწვეულია უწყებების არა წესიერად ჩაბარებით. ამრიგად საქმის გაჭიანურების ერთ-ერთ ძირითად მიზეზად უნდა ჩათვალოს უწყებების გაგზავნის არსებული წესი. მილიციიდან დაბრუნებული უწყებების პირებიდან 20 პროც. თუ იქნება წესიერად ჩაბარებული ე. ი. იმ რიგად, როგორც ამას მოითხოვს ჩვენი საპროცესო ნორმები. დანარჩენი 80 პროც. კი, თუმცა შეიძლება ფაქტიურად ჩაბარებული იყოს, მაგრამ სასამართლოს მიერ არ შეუძლიან ჩასთვალოს იგი ჩაბარებულად; ამის შესახებ საქმეო მაგალითები მოჰყავს ანხ. თ. შავიშვილს თავის წერილებში და ამ ნაკლის გამოსასწორებლად დასახული აქვს ახალი ფორმები უწყებების დაგზავნის წესისა. შეიძლება კიდევ მეტი ვსთქვათ. მილიცია აზამც თუ წესიერად არ აბარებს უწყებებს, არამედ ზოგჯერ ბოროტათა ციყენებს უწყებების დარიგების უფლებას. არის შემთხვევები, როდესაც უწყებაზე წარწერილია, ერთი სიტყვა „მკვდარია“, ხოლო სინაღდვილეში უწყებაში აღნიშნული პირი სასამართლოს წინაშე სდგას. შეკითხვაზე, თუ მის უწყებაზე ვინ წააწერა „მკვდარიაო“ უპასუხებს „ჩემთან უწყება არავის არ მოუტანია და წარწერა იმიტომ გაუყეთებიათ (განზრახ) რომ საქმე გადადებულიყო, ან შეჩერებულიყო და ან სხვაო“. ამავარად ყველა ჩამოთვლილი გარემოებანი უდავოდ მოწმობენ იმ ფაქტს, რომ მილიცია არა წესიერად აბარებს უწყებებს (შეიძლება მათაც ჰქონდეთ თავისი ობიექტიური მიზეზები) რასაც შედეგად მისდევს საქმის დაუსრულებელი გაჭიანურება. აღნიშნულ გარემოებათა მოსაგვარებლათ ანხ. შავიშვილს აზრით, უწყებების ჩაბარება გადაცემული უნდა იქნეს აღმასრულებელთა აპარატზე. ეს მოსაზრება პრინციპიალურად უსათუოდ უნდა იქნეს აღმასრულებელთა აპარატზე. ეს მოსაზრება პრინციპიალურად უსათუოდ უნდა იქნეს აღმასრულებელთა აპარატზე. ეს მოსაზრება უნდა იყოს ორი აღმასრულებელი,

*) სადისკუსიო—რედაქცია.

1) ანხ. შავიშვილის წერილის გამო. იხ. „საბ. სამარ.“ № 23—24.

